

# ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 4

კვირა, 26 მარტი

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; სუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ცფოლისი, ტრეილინის ქ., № 5, ცფლეფ. № 922.

„ივერიის“ შარხანდელ ხელის მომწვით, რომელთაც გაზეთის წლიური ფასი სრულად ჰქონდათ გადახდილი, ამ ნომერთან ერთად ურიბდებით პრემიები № 8—11.

სარჩმვი:—საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ფ. გოგიჩაიშვილისა.—დღევანდელი ვითარება, მოყვრისა.—კერძო საკუთრება და შთავრობა,—ლისა.—ცხოვრება და ხელოვნება, კ. ა. ს.—კალმახელიძე, ლექსი აკაისა.—პრესის თავისუფლება და ბიუროკრატია, ს. ა.—გადასახადი შემოსავალზე, გ. მ.—ისა.—ეროვნება ისტორიაში (პ. ლავროვის „ისტორიულ წერილებიდან“), თარგმანი დ. ჰოლველისა.—მარკოს საქმე, დ. უ.—ძ. ს.—უძმოს—ძმა, ვ. ფ.—შაველასი.

## სამართველოს ეკლესიის ავტოკეფალია

ამ რამდენისამე დღის წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო სოხუმის ოლქის სამღვდლოების გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას შეეხება. ხსენებულ ოლქის სამღვდლოებაც ისე, როგორც სამღვდლოება ამერიკეთისა, თხოულობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და მის განცალკევებას რუსეთის სინოდისაგან. ამგვარად დღეს აღარ არის დარჩენილი არც ერთი კუთხე საქართველოსი, რომლის სამღვდლოება ავტოკეფალიის მოთხოვნას არ მიჰყვებოდეს და სინოდის ოპიკისაგან განთავისუფლება არ მოეთხოვოს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა საზოგადო სურვილი და მისწრაფებაა ჩვენებურ სამღვდლოებისა და, გვგონია, ქართველობის თვალსაზრისით ნაწილისა. ეს მოთხოვნა სამღვდლოებისა იმდენად საერთო და ენერგიულ ხასიათისა შეიქმნა, რომ რუსეთის სინოდმაც ვ. ღარ წაიჭრა და მის გამო თათბირი გამართა, დღეს ეს საკითხი სინოდშია გადატანილი და ქართველი სამღვდლოებაც ჯერ-ჯერობით სინოდის გადაწყვეტილებას უდღის.

მთელი ერის რელიგიური რწმენა და მისი სარწმუნოებრივი ორგანიზაცია დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა და ამიტომ მისი რეფორმა ათეისტურ პრესისაგანაც კი დიდად საყურადღებოა. როგორ უნდა ვუყურებდეთ ჩვენ, კლერიკალების მტერნი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს, რომელიც დღეს წამოყენებულია საქართველოს ეკლესიის განშორება რუსეთის სინოდისაგან არსებითად პროგრესიული მოვლენა თუ არა და შეიძლება თუ არა მხარი დაუჭიროს მას დემოკრატია?

როგორც მოგესხენებთ, დემოკრატია აღიარებს რწმენისა და სინოდის თავისუფლების პრინციპს და ამიტომ იგი წინააღმდეგია ყოველგვარ ძალდატანებისა სარწმუნოების საქმეში. ასეთი თუ ისეთი რელიგიური რწმენა და შეხედულება თითოეულის სინოდისა და სულიერ მიდრეკილების საგანია, და ამიტომ სახელმწიფო არავის არ უნდა უხდიდეს სა-

ვალდებულოდ ამა თუ იმ სარწმუნოების აღსარებას და არც ერთ სარწმუნოებას არ უნდა აძლევდეს უპირატესობას. ამ პრინციპიდან გამომდინარეობს შემდეგი მოთხოვნილება: ეკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან და სკოლისა—ეკლესიისაგან. ამ მოთხოვნის თანახმად, არც ერთ სარწმუნოებას არ ეძლევა უპირატესობა სახელმწიფოში,—ყველა სარწმუნოება სწორუფლებიანია და მის საქმეებში სახელმწიფო არ ერევა: არც სასულიერო პირების დანიშვნა-დამტკიცებას ენება და არც საერთო გადასახადებისგან ჯამაგირებს აძლევს სამღვდლოებას. ამ შემთხვევაში ეკლესია წარმოადგენს მორწმუნეთა კერძო კავშირს, რომელიც თვითონ აწესრიგებენ თავის საეკლესიო ორგანიზაციის საქმეებს და საჭირო ხარჯებსაც თვითონ ეწევიან. აქ არავინ ვალდებული არაა, გადასახადი იხადოს იმ სარწმუნოების საჭიროებისათვის, რომელსაც არ თანაუჭრანობს ან არ ეკუთვნის. ახალი თაობაც პატარაობაში, როცა გონება ჯერ კიდევ განუვითარებელია და აღმზიანს თავისუფლად რწმენის შეთვისება არ შეუძლია, იძულებული არაა შთაინერგოს გულში ამა თუ იმ სარწმუნოების პრინციპები, ვინაიდან დაბალ სასწავლებლებიდან გამოდევნილია საეკლესიო სწავლება და სკოლა განთავისუფლებულია ეკლესიის გავლენისაგან.

ეს არის ეკლესიის შესახებ მთავარი პრინციპები დემოკრატისა, რომელსაც ჩვენც ვეზბრობით. რამდენად ახორციელებს ამ პრინციპებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა? რასაკვირველია, ეს იმაზე დამოკიდებული, თუ რა კონკრეტული შინაარსი უდღეს თვით ავტოკეფალიის მოთხოვნას. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ნიშნავს მის განშორებას და განთავისუფლებას რუსეთის სინოდის ოპიკისაგან. ჩვენებური სამღვდლოება თხოულობს საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებას და ძველებურ კათალიკოსობის აღდგენას. მაგრამ სინოდისაგან განთავისუფლება არ მოასწავებს აუცილებლად, რომ „განთავისუფლებულ ეკლესიის არსებობა დემოკრატულ პრინციპებთან იქნება სავსებით შეთანხმებული. მთავარი საკითხი აქ ის არის, თუ რა დამოკიდებულება ექნება ეკლესიის სახელმწიფოსთან. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონია შემთხვევა გავვეცნო ამ მხრივ ავტოკეფალიის პროექტი და ამიტომ დანამდვილებით არ ვიცით, თუ რა აზრისა ამის შესახებ სამღვდლოება. მარტოდენ მოსაზრებით კი აქ შესაძლებელია შემდეგ სამ გზაში ერთი რომელიმე ჰქონდეს მას არჩეული.

პირველი: საქართველოს ეკლესია შორდება სინოდს და იმავე დროს შორდება სახელმწიფოსაც. იგი თავის შესახებ არავითარ ჯამაგირებსა და სუბსიდიებს არ სთხოვს სახელმწიფო ხაზინას და ამგვარად თავის თავს მორწმუნეთა კერძო კავშირად აღიარებს, რომლის ხარჯებსაც თვით კავშირის წევრები აკმაყოფილებენ.

მეორე: საქართველოს ეკლესია შორდება სინოდსა და სახელმწიფოსა და, მასაშასადამე, მატერიალურ კავშირსაც სწყვეტს სახელმწიფო ხაზინასთან, მაგრამ ამასთანავე თხოვლობს, რომ თავის სამღვდელთაშის შესანახად მას დაუბრუნდეს ის საეკლესიო ქონება, რომელიც, საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დროს, ხაზინამ წაიღო და დღესაც მას აბარია.

მესამე: საქართველოს ეკლესია შორდება სინოდს და იმავე დროს რჩება შეკავშირებული სახელმწიფოსთან. და რადგან ყოველ სახელმწიფოში, სადაც ეკლესია სახელმწიფოსთან არის შეკავშირებული, სამღვდლოების შესანახ ფულს მთავრობა მცხოვრებლებისგან აგროვებს ძალდატანებით და სამღვდლოებს ინახავს, ამიტომ საქართველოს სამღვდლოებაც მოითხოვს, რომ იმ საზოგადოებასთან დასახდებიან, რომელსაც სახელმწიფო მიიღებს ხოლმე წლიურად საქართველოს მცხოვრებთაგან, და აგრეთვე ხაზინის ხელში დაცულ საეკლესიო ქონებიდან მას, მიუხედავად სინოდისაგან განშორებისა, ჯავაგირები და დახმარება ეძლეოდეს წინანდებულად.

სამივე ეს კომპანიაც სათითაოდ არ ეწინააღმდეგება საქართველოს ეკლესიურ ავტოკეფალიის იდეას. მაგრამ ევევ არ ითქმის დემოკრატიულ პრინციპის შესახებაც. პირველი გზა სრული განხორციელებაა აქ აღძრულ საკითხის გადაწყვეტაში დემოკრატიულ პრინციპისა და, მასაშადამე, ამგვარ საფუძველზე ასაგებ ეკლესიურ ავტოკეფალიის მოთხოვნას ვერც ერთი ქართული დემოკრატიული პარტია ვერ გაუწევს წინააღმდეგობას. მაგრამ მეორე და მესამე მუხლად აღნიშნულ ღონისძიებით ეკლესია ისეთ უფლებას ისაკუთრებს, რომელსაც მისთვის უარყოფს დემოკრატია. „საეკლესიო მამულებს“ ეკლესია დაებატონა საუკუნეების განმავლობაში; ეს არის ქონება ხალხისა, რომელსაც ისევ უნდა დაუბრუნდეს იგი. ხაზინიდან სარჩოს მიცემა სამღვდლოებისთვის ეწინააღმდეგება რწმენის თავისუფლების პრინციპს, ვინაიდან სახელმწიფო გადასახადს იხდინა ისინიც, ვისაც ეკლესია სრულიად არ ესაქიროება თავის სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენ გვგონია უმათერესად ეს მოსახრება არის მიზეზი, რომ ჩვენე ბური სოციალდემოკრატია მარტოდენ „ხუცესების საქმედ“ სთვლის საქართველოს ავტოკეფალიის საკითხს და კლერიკალად მიიჩნია უველა, ვინც ამ ავტოკეფალიის მოთხოვნას მხარს უჭერს.

ვიმეორებთ, ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, თუ რაგვარს განწყობილებაში აყენებს სამღვდლოება საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას სახელმწიფოსთან. რამდენადაც გავვიგონია, სამღვდლოების აზრია, დაიბრუნოს საეკლესიო მამულები და მათი შემოსავლით არჩინოს ეკლესიის მსახურნი. წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს სამღვდლოება, შიშის შიშით, უარყოფს პირველმუხლში მოხსენებულ დემოკრატიულ გზას და, სინოდისაგან განშორებული, თავის არსებობის წყაროდ საეკლესიო მამულებს ან სახელმწიფო ხაზინის ღონისძიებას სახავს. წარმოვიდგინოთ ეს და კიდევ ერთხელ ვიკითხოთ: შეიძლება თუ არა ასეთ გარემოებაში ავტოკეფალიის მოთხოვნას მხარი დაუჭიროს დემოკრატია?

ჩვენ გვგონია, რომ ის არაა თუ შესაძლებელი, სავალდებულოცა, და თუ ჩვენში არიან ისეთი იდეოლოგები, რომელთაც ავტოკეფალიის მომხრება თვითონ ურადიკალიზმის“ შეზღობვლად და დამამკირებლად მიიჩნიათ,—ეს უბრალო გაუგებრობისაგან წარმოსდგება. საეკლესიო და სხვა, ისტო-

რიის განმავლობაში, ხალხისგან წარმეულ მამულების ისევ ხალხისთვის დაბრუნება არის საკითხი სოციალური, რომელსაც გადასწყვეტს მხოლოდ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა კი ისტორიულ უფლებაზეა დამყარებული და არის არსებითად საკითხი საწმუნოებრივი. დემოკრატია უნდა იბრძოდეს ეკლესიის იმ უფლებების მოსპობისათვის, რომელიც ხალხისთვის სახარალოა, და ცდილობდეს სახელმწიფოს წესწყობილება ისე მოაწყოს, რომ მასში ეკლესიის არსებობა არ ეწინააღმდეგებოდეს რწმენის თავისუფლებას (ეკლესიის კერძო კავშირად აღიარება და მის მსახურთათვის ხალხის საზოგადო ქონებიდან დახმარების მოსპობა). მაგრამ ამავე დროს იგი მხარს უნდა უჭერდეს ყოველ ცვლილებას, რომელსაც დემოკრატიული ხასიათი აქვს; მხარს უნდა უჭერდეს მაშინაც კი, როცა ესა თუ ის რეფორმა მხოლოდ ნიადაგის მომზადებელია დემოკრატიულ პრინციპების განსახორციელებლად. მიმხრობისა თუ არ მიმხრობის გადაწყვეტი ის კი არ არის, რეფორმა სავსებით ახორციელებს თუ არა დემოკრატიულ მსწრავებას, არამედ ის, რომ თვით რეფორმას დემოკრატიული ხასიათი აქვს. მაგალითად, ყველა სოციალისტურ პარტიებს 8 საათიანი სამუშაო დღე უწერიან პროგრამებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ერთს აზრადაც არ მოუვა წინააღმდეგობა გაუწიოს პარლამენტს, რომელიც სამუშაო დღეს 11 საათიდან 10 საათამდის შემამკირებს და ამკვარად მუშა ხალხისთვის სასარგებლო რეფორმას მოახდენს. მასაშადამე, მთავარი საკითხი ესაა, თუ რა ხასიათისაა თვით რეფორმა და არა ის, რომ იგი სავსებით არ აკმაყოფილებს დემოკრატიის მოთხოვნილებას.

თუ ამ მხრით შევხედავთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს, დავრწმუნდებით, რომ იგი თანაგრძობის ღირსია ყველა დემოკრატიულ ელემენტებისაგან შეთლი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეკლესია ემორჩილება სინოდს, და ამ ხნის განმავლობაში ამ უკანასკნელს არ მიუღია არც ერთი ისეთი ღონისძიება, რომელიც მიმართული არ ყოფილიყოს ჩვენი ეროვნებისა და მოქალაქობრივობის განვითარების წინააღმდეგ. ეკლესიის მსახურნი მან გადააქცია პოლიციის აგენტებად, რომელთაც დავლებული ჰქონდათ ემუშავნათ ქართველ ხალხის ეროვნულ გადაგვარებისა და კულტურულ დაქვეითების მოსახდენად. ნაცვლად ღვთის მსახურებისა და ხალხის რელიგიურ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ წმინდა სარწმუნოებრივ სამსახურისა, მან გაამრავლა ანაფორაში გახვეული ჟანდარმერია და პოლიცია. სარწმუნოება, რომელიც თითოეულ ადამიანის თავისუფალ სინდისს საქმეს უნდა შეადგენდეს, მან ქართველ ერის სულიერ შევიწროების წყაროდ გადააქცია. ყველამ ვიცით, თუ როგორ მოქმედებდნენ და დღესაც მოქმედებენ ჩვენში მისი აგენტები. მაგალითად, ბათუმის მღვდელი პრინციპი ასეთ „რენს“ ეუბნება რუს სალდათებს ეკლესიაში (იხ. მისი წიგნაკი „Наши внутренние враги“, გვ. 13—14), „გახსოვდეთ, ძმებო-სალდათებო, ფიცი! თქვენი სამსახური მეფისთვის აქ, განაპირა ქვეყანაში, ინოროდცებს“ შორის, სადაც „ტუხმეცები“ ეროვნულ მოძრაობას ეწვეიან და რუსეთისაგან განცალკევების იდეას ეტრფიან, ისევე საქირო და სასარგებლოა, როგორც შორეულ აღმოსავლეთში საიმარად წასულ სალდათების სამსახური. განსხვავება ის არის, რომ იქ იმათ გარს ეხვევიან გამოჩენილი მტრები, აქ კი თქვენ ყოველ მხრით გახვევიან ფარული, მოღალატე მტრები, მტრე-

ბი წმინდა რუსეთისა და პირადად თქვენიც. გახსოვდეთ, რომ კავკასიაში თითოული ციდა მიწა მოტენილი და მორწყულია თქვენი პაპების, მამების და ძმების ძვლებითა და სისხლით. გახსოვდეთ, რომ თქვენ, შეიძლება, მოგიხდეთ მტრულ მოძრაობის ჩაქრობა იარაღით და მაგრად უნდა დაიცვათ რუსეთის სახელმწიფოს საქმე და მიზანი კავკასიაში“. ასეთის ერთ ლაპარაკობენ სინოდის აგენტები, — პრანიციები, ვოსტორგოები, გოროდცოვები და მათხი მსგავსნი. საქართველო დასაპყრობად აღდიდადა გამოცხადებული, სადაც ხელგაშლილად აგზავნიან ანაფროსან ჯაშუშებს, რომელნიც სასტიკ ბრძოლას უცხადებენ ქართველ ერის ხალხოსურ არსებობას და მის კულტურულ განვითარებას.

ასეთ ძალას აძლევს დღეს სინოდს საქართველოს ეკლესიის განუცალკევებლობა. იგი წარმოადგენს ერთნაირ ცხრილს, რომელშიაც საქართველოს ეკლესიის მსახურებმა უნდა გაიარონ და ხალხში „სამოღვაწეოდ“ პრანიციებისებური დამლაუნდა მიიღონ. და, აი, ავტოკეფალიის განხორციელება სინოდს უკარგავს ამ ძალას და მორწმუნე ხალხს უახლოვებს მის სამღვდლოებს. სანამ სარწმუნოება არ მოსპობილა და ჩვენი ერის დიდძალ უმრავლესობას ღვთის ღოცვა-ვედრება თავის სულიერ მოთხოვნილებად მიაჩნია, მას მისი რწმენის შესაფერი ეკლესია და მღვდელიც ესაქიროება, და ერთი და მეორეც უნდა იყოს ისეთი, რომელიც მის მოთხოვნილებასთან უფრო დაახლოვებულია. ავტოკეფალია ნიშნავს სარწმუნოების სფეროში ეროვნულ დევნისა და შევიწროების მოსპობას, ხალხთან სამღვდლოების დაახლოვებას და ეკლესიაში ანუ სარწმუნოებრივ ორგანიზაციაში ხალხის გავლენის გაძლიერებას. და ყველა ეს ისეთი მხარეებია, რომ მათ გამოიმწევე ცვლილებას უნდა თანაუგრძობდეს ყოველი დემოკრატია, რომელიც თავის ცხვირს იქითაც სავანს ხედავს და თავის რელიგიურ რწმენას თუ ურწმუნოებას ყველასთვის სავალდებულოდ არ სახავს.

ფ. გოგინაშვილი.

**დღევანდელი მითარება**

ძველ წყობილების მომხრენი იბრძვიან... მათ უცრუვდებთ არწევების იმედი. ეგონათ, რომ მოახერხებდნენ არჩევნებიდან ყველა საოპოზიციო ძალების განდევნას, მომავალ სათათბროში თავს მოუყრინენ მხოლოდ ამ ძველ წყობილების მომხრეებს და ამ დამახინჯებულ „პარლამენტს“ ხალხის სახელით აღაპარაკებდნენ.

ადამიანს ეგონებოდა, რომ ეს იმედი არც ისე უსაფუძვლო იყო; სამინისტროდან გაგზავნილი „საარჩევნო ცირკულიარი“, რომელიც აღვილობრივ ადმინისტრაციას ავალებს საშუალების განურჩევლად ჩამოიშოროს არჩევნების დროს მთავრობის მოწინააღმდეგე ცნობილი კანდიდატები, მართლაც სისრულეში მოჰყავდათ. გაზეთები აივსო ადმინისტრაციულ თვითნებობის ცნობებით. ატუსაღებდნენ იმათ. ვინც წინეთ ხალხს მეთაურობდა, ატუსაღებდნენ ყველას, ვინც აშკარად აცხადებდა, რომ სათათბროში ან ამრჩევთა კრებულში იგი ეცდება მხოლოდ თავისი ახალი უფლება გამოიყენოს იმავე მიზნის მისაღწევად — რუსეთში ძველ, დახავსებულ, ბიუროკრატიულ წყობილების მაგიერ ახალ, დემოკრატიულ წყობილების დასამყარებლად.

მეორეს მხრივ, საოპოზიციო ძალებს საარჩევნო ასპარეზზე აქლდებოდა ყველა ის მოკავშირე, რომელიც სათათბროს ბოიკოტს უცხადებდა და მათი განხე გადგომა მით უფრო ჩამაფიქრებელი იყო, რომ მტკიცე ორგანიზაციის და წევრთა

საერთო დისციპლინით ისინი სხვა პოლიტიკურ პარტიებზე უფრო მაღლა იდგნენ და შეეძლოთ ამის გამო დიდი გავლენა ჰქონოდათ არჩევნების დროს...

ბიუროკრატის ასეთი მოქმედება და სოპოზიციო ძალთა შესუსტება უნუგეშო სურათს უქაიდიდა ხალხს.

მაგრამ ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ არც მთავრობის მოქმედებას და არც რომელიმე პარტიის მეთაურთა გაბუტვას არ შეუძლია შესცვალოს საზოგადო ცხოვრების მიმართულება. ის ელემენტები, რომელნიც წინეთ მომქმედ პარტიებს თანაუჭრძობდნენ, თუმცა მათ პროგრამას საესებით არ ეთანხმებოდნენ და მათს კლასიურ ლოლიკას ვერ ითვისებდნენ, ეხლა, რაკი ეს პარტიები განზე დგებოდნენ, — იმათ დროშის ქვეშ გადვიდნენ, ვინც საზოგადოებას ბრძოლის ახალ გზას უჩვენებდა და საარჩევნო საქმეში ოპოზიციას მეთაურობდა.

პირველად, ბოიკოტის მომხრეთა გავლენით, ხალხი ნაკლებად ესწრებოდა არჩევნებს, — დიდი იყო ხალხში იმათი ავტორიტეტი, ვინც ბოიკოტს ურჩევდა. მაგრამ შემდეგ, როდესაც აქა-იქ არჩევნების დროს საოპოზიციო პარტიებმაც მოახერხეს მემარჯვენეთა დამარცხება და თავიანთ კანდიდატების არჩევა, საზოგადოებამ მეტი ყურადღება მიაკცია არჩევნებს, და პირველში მეკენქეთა რთი ან ორი პროცენტი თუ მოდიოდა საარჩევნო კრებებზე, შემდეგ დამსწრეთა პროცენტი თან და თან მატულობს, მატულობს სწორედ ძველ წყობილების მოწინააღმდეგეთა რიცხვი, — უკანასკნელ დღეების არჩევნებში ყველვან საოპოზიციო პარტიები გამარჯვებული რჩებიან. მესარჯვენი უფრო ძლიერნი გამოდგნენ იქ, სადაც ხალხი, ბოიკოტზე კამათის გამო, დაქსაქსული შეიქმნა, და ეს მათი გაძლიერება იმათ უნდა დაბრალებდეს, ვინც ცდილობდა საზოგადოების საოპოზიციო ძალების გათიშვას.

საბოლოოდ როგორ დასრულდება არჩევნების საქმე რუსეთში და სათათბროში ხმის უმეტესობა საითკენ იქმნება, ჯერ არ ითქმის, არჩევნები ჯერ დასრულებული არ არის. — ითქმის მხოლოდ, რომ იქ, სადაც ბიუროკრატის ან მთავრობის მოწინააღმდეგე ძალები ერთმანეთს ებრძვიან და მხოლოდ თავის საკუთარ ბატონობაზე ფიქრობენ, გაბატონებული ნამდვილად სხვა რჩება, — მემარჯვენეთა პარტია.

ხალხისთვის კი მემარცხენთ ერთმანეთში ბრძოლა და მათგან საკუთარ „თვითმპყრობელობაზე“ ოცნება საზარამოყვარე

**ქვიშა საშუალება და მითარება**

„მიწა და თავისუფლება“ — ამას ითხოვს გლეხობა რუსეთში. დამონებული, ყოველივე პოლიტიკურ უფლებას მოკლებული ხალხი, რომელსაც ადმინისტრაციის უკანასკნელი წარმომადგენელიც ფეხქვეშ სთელავდა და შეძლებისა და გვარად ყველფვდა, ხალხი, რომელიც მუდმივ შიმშილობისა გამო უკიდურეს მდგომარეობაში ჩაეარდა და თავის რჩენას ვერ ახერხებდა, — ახლა, გაბრაზებული და მომავალ ბედნიერების იმედით გატაცებული, იძახის: „მიწა და თავისუფლება!“

თავისუფლების მოთხოვნასა და მოპოვებაში გლეხობას ხელს უწყობ საზოგადოების სხვა კლასებიც, ვინაიდან ახლანდელი პოლიტიკური უუფლებობა და ბიუროკრატის აღვირახსნილი ძალმომრეობა ყველას აწუხებს. არ არის არც ერთი, კოტაოდნად მაინც გამოუზიზღებული ადამიანი რუსეთში, რომელიც არ ებრძოდეს მთავრობის პოლიტიკურ უფლებების მოსპოვებლად.

სულ სხვა „მიწა“. ახალ მიწის გაჩენა არ შეიძლება. ახალის გაჩენას გლეხობაც არ თხოულობს, მას უნდა მხოლოდ, რომ ის მიწა, რომელიც დღეს სხვა და სხვა მესაკუთრესაგან იჯარით იძლევა, გლეხობის სრულ საკუთრებად შეიქმნეს და მისთვის საჭირო აღარ იქმნეს სხვის სასარგებლოდ იჯარისა ან ღალის გადახდა. მიწა იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც თვითონ შრომობს მიწაზე, ამბობდნენ გლეხები. რაკი მიწა ხალხისთვის აუცილებლად საჭირო არის და რაკი ახალ მიწის გაჩენა არ შეიძლება, ამიტომ მსხვილ მემამულეთა ხელში მიწის საკუთრება უსამართლო მონაპოვლიად არის გადაქცეული და ეს მონაპოვლია მათ უმონებს სოფელელ ხალხის მშრომელ უმეტესობას. ამიტომ საკუთრების ახლანდელი წესი უნდა მოისპოს და მსხვილ მემამულეებს, რომელნიც თვითონ არ ამუშავებენ თავის საკუთრებას, მიწა უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს მშრომელ გლეხობას.

ცხადია, რომ ამ მისწრაფებაში გლეხობას თანაგრძობას არ გამოუცხადებდა ყველა ის მესაკუთრე, რომელსაც გლეხთა მოთხოვნის სისრულეში მოყვანა უქადიდა ახლანდელ უზრუნველყოფის მოსაზრებას. მართალია, ზოგიერთი მიწის ჩამორთმევაზედაც თანხმდებოდნენ, თუ მთავრობა მათ ამ მიწის ფასს გადაუხდიდა, მაგრამ უმეტესობას ეს ჩამორთმევაც არ ესაიზიანებოდა და რუსეთის მსხვილ მემამულეთა წრეებში თანდათან უფრო ხშირად და გარკვევით გაისმა მოთხოვნა, რომ მთავრობამ მათი კერძო საკუთრება უზრუნველ ჰყოს და გლეხებს მიწის ჩამორთმევის იმედიც მოუსპოს.

ეს იმედი დიდი იყო გლეხებში, იმდენად დიდი, რომ ზოგან მის საკანონდებლო გზით მოწყობას აღარ უცდიდნენ და მსხვილ მემამულეთა მიწა, ძალით ახლავე ისაკუთრებდნენ საადგილმამულო მოძრაობაზე ფეხზე წამოაყენა მთელი რუსეთი და საერთო ყურადღება მიიპყრო. ყველა გრძნობდა, რომ ამ მოძრაობას ჰქმნიდა გლეხობის უკიდურესი მდგომარეობა და რომ არ შეიძლება მისი „ჩაქრობა“, თუ თვით ეს მდგომარეობა არ შეიცვალა. „მიწა“ საჭირო იყო!..

მთავრობა ამ საქმის გამოწყობაში თავის ჩვეულებრივ გზას დაადგა, — შექმნა „კომისიები“ საქმის გამოსაკვლევად, მასალის შესაგროვებლად, პროექტების შესამუშავებლად... გულუბრყვილო ადამიანს ეგონებოდა, რომ მას მართლა სწადია საადგილ-მამულო საკითხის გადაწყვეტა ისე, როგორც ამას მოითხოვდა ხალხის საჭიროება.

მაგრამ მიწის მსხვილ მესაკუთრეთა გავლენა რუსეთის მთავრობაზე ყოველთვის დიდი ყოფილა და მთავრობა წინეთ ყოველთვის მფარველობდა მათ. მსხვილი მემამულეები მკიდრო კავშირს არ სწყვეტდნენ მეფის ვაზრეულობასთან, რომელიც თვითონ უდიდესი მემამულეთა რუსეთში: მარტო მას კერძო საკუთრებად რამოდენიმე ათი მილიონი დღიური ეკუთვნის. ინტერესთა იგივეობა აკავშირებდა ერთმანეთთან მსხვილ მემამულეებს და მთავრობას და ამიტომ, როდესაც საადგილ-მამულო მოძრაობის საშუალებით გლეხებმა თავის იდეალებს პრაქტიკულად განხორციელება დაიწყეს, მთავრობამ რამდენჯერმე საჯაროდ და გარკვევით გამოაცხადა: რეფორმების შემოღება შეიძლება, მაგრამ კერძო საკუთრების პრინციპი ხელუხლებელი უნდა დარჩეს, როგორც პოლიტიკურ სფერაში ამბობდა, რუსეთში ხალხის წარმომადგენლობა შემოვა იმ პირობით, რომ მეფის თვითმპყრობელობა არ შეიცვალოს.

თავის დავიკვირვების დღეს 1883 წ. შეფე ალექსანდრე მესამემ გლეხების წარმომადგენლებს გამოუცხადა: „ხელუხლებელი უნდა იყოს ყოველი საკუთრებაო“, და მისი შეილი, ნი-

კოლოზ მეორე, ახლა 11 მარტს, ეუბნება იმავე გლეხებს ძველ სიტყვებს კერძო საკუთრების შესახებ.

ამნაირად, მთავრობა თითქო მიუდგომლობას იჩენს, ყოველ საკუთრებას სთვლის ხელუხლებლად, სულ ერთია, ვისი იქმნება ეს საკუთრება, ლეხის, ვაქრის თუ აზნაურის. საქმეს პრინციპიალურის მხრივ უყურებს და საკუთრების პრინციპს იცავს...

ასეა ნამდვილად? მსხვილ მემამულეთა საკუთრების დასაცველად რომ მთავრობას ჯერ-ჯერობით საკმარისი ძალადონე შესწევს ამას კარგად ვხედავთ, როდესაც ცეცხლითა და მახვილით განვლო მთავრობის რაზმებმა რუსეთი და „მშვიდობიანობა“ დაამყარა იქ, სადაც გლეხობა იბრძოდა „მიწის და თავისუფლების“ მოსაპოვებლად. ადმინისტრაცია და სსამართლო ცდილობენ ამ რაზმებს სისასტიკით არ ჩამორჩენ და გლეხების დასასჯელად ათასგვარ უკანონობას და ძალმომრეობასაც არ ერიდებიან. გლეხებისაგან კერძო მემამულეთა საკუთრების დასაცველად სატუსალო, სახრჩობელა, ტყვია და ზარბაზნის ყუმბარაც საჭიროდ მიაჩნდა მთავრობას...

ასევე იქცეოდა იგი გლეხთა კერძო საკუთრების დასაცველად?

1883 წელს, ზემოხსენებულ განცხადების შემდეგ, რომლითაც მეფე ალექსანდრე მესამემ მიმართა გლეხებს იმავე მეფემ ბრძანება გასცა, რომ სასამართლოებში შეიყვებინათ ყველა ის დავა რომელიც ახტირელ გლეხებს დაწყებული ჰქონდათ ხაზინასთან მიწის საკუთრების შესახებ. შეიყვებულო იყო ის საქმეებიც, რომლის შესახებ სასამართლოს გლეხების სასარგებლოდ განაჩენი ჰქონდათ გამოცხადებული. რამ გამოიწვია ასეთი ბრძანება? იმან, რომ გლეხები მართალნი იყვნენ, რომ მათი უფლებები უცილობელი იყო, რომ სასამართლო მა სადავო ადგილებს მიუსჯიდა და რომ ეს გარემოება მთავრობას ზარალს მიაყენებდა. ზარალის თავიდან ასაცილებლად გლეხებს მათი კერძო საკუთრება წაართვეს და ამ საკუთრების დასაბრუნებლად სასამართლოში საქმის დაწყებაც აუკრძალეს. მაშინ ამ კერძო საკუთრების დამრღვევთა დასჯა და სახრჩობელაზე ვაგზავნა არავის არ უფიქრია, — ის ხომ „გლეხების“ კერძო საკუთრება იყო, იქ ხომ მთავრობასთან დაახლოებული მსხვილ მემამულეთა საკუთრებას არავინ არ ეტეობდა.

1900 წელს მინისტრთა კომიტეტიც გლეხების კერძო საკუთრებას შეეხო. ლიპეცკის ზარშალმა კოჟინმა მუქარით და ძალით აიძულა გლეხები მას მიწის შესახებ პირობით შეეკროდნენ და მისთვის მიეციდნათ ყველა ის მადნეულობა, რომელიც მიწაში აღმოჩნდებოდა. ეს პირობა მან შემდეგ ბელგიის კაპიტალისტებს მიჰყიდა: გლეხებმა თავიდან რომ მოიცინილეს იმ მაზრაში ყოვლად ძლიერი კოჟინი, ძალით შეკრულ პირობას დარღვევა მოუნდომეს და სასამართლოში საქმე დაიწყეს. ბელგიელ კაპიტალისტებმა, რაკი დაინახეს, რომ პირობა ირღვეოდა, კოჟინს გამოუცხადეს, ჩვენს ზარალს შენ გიჩივლებთო. ზარალის შიშით დაფაცურდა კოჟინი და ისევ მთავრობას მიმართა: გამოუცხადა, ახლა ბელგიელები თუ დაზარალდნენ, ევროპის კაპიტალისტებმა ამას შეიტყობენ და რუსეთში არავითარ საქმეს არ დაადგებიანო. ეს საბუთი მთავრობამ საკმარისად მიიჩნია იმისთვის, რომ საქმეში ჩარეულიყო. მინისტრთა კომიტეტმა ხსენებულ მიწების შესახებ თვითონ შეიმუშავა ახალი პირობა და გლეხებს იგი ძალით მიაღებინა!

ამ ორ შემთხვევას თავის თავად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ორივე მშვენიერად ახასიათებს მთავრობის მოქ-

მედებს გლახთა კერძო საკუთრების დაცვაში. ეს ორი შემთხვევა ამტკიცებს, რომ მსხვილ მემამულეთა კერძო საკუთრება მთავრობას ისე არ ესმის, როგორც გლახების კერძო საკუთრება, რომ იგი თვითონ არღვევს გლახთა კერძო საკუთრების უფლებას და გლახებს კი მსხვილ მემამულეთა კერძო საკუთრების დარღვევისთვის სახრზობელაზგაზავნის.

მთავრობა გლახთა კერძო საკუთრებას თვითონვე არღვევს. საშხრეთ: რუსეთის ზოგიერთ ნაწილში მან ძალით მოსპო კერძო საკუთრება და სოფლად მიწის საერთო მფლობელობა შემოიღო, — ოზშინა, როგორც შიდა გუბერნიებში არსებობს. ეს კერძო საკუთრების დარღვევად არ ითვლებოდა, თუმცა ხლებებს მათი კერძო საკუთრება ჩამოერთვა და სოფელს ჩაბარდა, მიწა ძველ მესაკუთრეს წაართვის და ახალ — მესაკუთრეს, სოფელს გადასცეს.

ახლა კიდევ რალაც მოსაზრებით მთავრობა თავის ეკონომიურ პოლიტიკაში ახალ მიმართულებას ადგება. ხმა გავრცელდა, რომ მიწის საერთო მფლობელობა, ოზშინა, შიდა გუბერნიებშიაც უნდა მოისპოს და მიწა კერძო საკუთრებად იმათ მიეცეს, ვინც დღეს ამუშავებს მას. ოზშინაში მიწა მთელი სოფლის საკუთრებაა და მისი კერძო მესაკუთრეებზე გადაცემა სოფლის უფლებებს არღვევს, ართმევს სოფელს მის კერძო საკუთრებას ისევე, როგორც გლახობას უნდა მიწა მსხვილ მემამულეებს აართვას და იმათ გადასცეს, ვინც თვითონ ადგია მიწის დამუშავებას. როგორც წინეთ გლახობას არ ეკითხებოდნენ, სურს თუ არა მას საერო მფლობელობის შემოღება, ახლაც სოფლის, როგორც კერძო მესაკუთრის დაუკთხავად სპობენ მის საკუთრებას და თავის ნებაზე ახალ მესაკუთრეებს ჰქმნიან.

ცხადია, რომ თვითონ მთავრობა კერძო საკუთრების პრინციპს არაფრად ადღებს, იგი მას თვითონ არღვევს, კერძო საკუთრების ხელუხლებლობა მთავრობას თავისთვის სავალდებულოდ არ მიაჩნია, ამიტომ ახლა ამ პრინციპზე თუ უთითებენ გლახობას, — იმისთვის, რომ ჩააქრონ მასში დაწყებული მოძრაობა, რომელიც ხაზინას, მთავრობის წარმომადგენლებს და სხვა მსხვილ მესაკუთრეს მიწის ჩამორთმევას უქადის, რომ ამ პრინციპით გაამართლონ ის სისასტიკე, რომელიც მთავრობის რაზმებმა გამოიჩინეს სოფლად ხალხის „დამშვიდების“ საქმეში.

—ლი.

**ცხონკრება და ხელონკრება**

**რუსული დრამა**

(მ. გორკის უკანასკნელ დრამატიულ სცენების გამო)

ლიტერატურული ნაწარმოები ცხოვრების გამოხატველია უსათუოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ცხოვრების სურათია, ნიქისაგან შექმნილი. აქედან თავისთავად ცხადია, რომ რამდენიც უნდა ეცადოს ნიქიერი მწერალი მეცნიერულად მოეცილოს მასალას ცხოვრებისას, ე. ი. რამდენადაც უნდა ეცადოს საგანის ისე დახატვას, როგორც იგი ნამდვილად, რეალურად არსებობს, მას არ შეუძლია ცოტა რამ სუბიექტიური მაინც არ შეიტანოს და ისე არ წარმოგვიდგინოს ცხოვრება, როგორც მას ეჩვენება. წარმოიდგინეთ, რომ ყველაზე უფრო მეტი ინტერესი ლიტერატურულ ნაწარმოებში სწორედ სუბიექტიურ ელემენტს აქვს, ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ის, თუ რაგვარად გვიხატავს ესა თუ ის ნიქიერი მწერალი ცხოვრებას და როგორია მისი შეხედულება ამ ცხოვრების შესახებ. მწერალს შეუძლია დავგიმპ-

ლოს თავისი შეხედულება ცხოვრების შესახებ, მაგრამ მისი პირადობა, მისი სუბიექტიურ ნიქის ღირსება-ნაკლებულება იხატება სწორედ იმ მანერაში, იმ კილოში, რომელსაც ხმარობს იგი ცხოვრების გამოსახატავად.

ცხოვრების გვერდის ახვევა მწერალს ისევე არ შეუძლია, როგორც თავისი პირადობის, თავისი „მე“-ის დამალვა და დაფარვა. რამდენადაც უნდა განასაზოვადოგოს მწერალმა ცხოვრება, უნდა ეცადოს ოცნების მხარეში გადაიტანოს მისი სამეჭო, ცხოვრება თავის ძლევაშოსილ ძალებით თან დღეს მას.

ცხოვრების უპირველესი თვისება, მისი ძირითადი საფუძველი არის ბრძოლა: ბრძოლა ადამიანისა ბუნებისა და, ცხოვრების ძალებთან, ბრძოლა ადამიანისა ადამიანთან, ბრძოლა აზრთა შორის, ბრძოლა განწყობილებათა შორის და სხვ. არცერთი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიაც ცხოვრების ეს მხარე არ არის გამოხატული, არ არის ღირსი იწოდებოდეს ლიტერატურულ ნაწარმოებად. რამდენადაც უფრო მძლავრად ჰხატავს ლიტერატურული ნაწარმოები ამ უდიდეს მხარეს ცხოვრებისას, იმდენად უფრო მაღალ საფეხურზე სდგას იგი.

დრამატიული ნაწარმოები ყოველთვის ითვლებოდა ლიტერატურის უმაღლეს გვარის წარმომადგენლად სწორედ იმიტომ რომ არსად ისეთი ძალით, ისე ინტენსიურად არ არის გამოხატული ხოლმე ბრძოლა ცხოვრებისა, როგორც დრამაში, საბერძნეთის დრამა გამოხატველია ბრძოლისა ფატუმთან, უხილავ და ფატალურ ძალებთან, განგებასთან, ცხოვრების რკინის კანონებთან (ედიპი სოფოკლისა, მაგ.); ინგლისისა და საფრანგეთის XVI და XVII საუკ. დრამა გამოხატველია კაცის ინსტინქტთა, მის ვნებათა დღეღის, მისი აზრებისა და გრძობების შორის ბრძოლისა (ოტელო და ჰამლეტი შექსპირისა, ფედრა-რასინისა და სიდი კორნელისა). დღევანდელი დრამა (იბსენისა, ჰაუპტმანისა) უფრო საბერძნეთის დრამის ნაირია და გვიხატავს ბრძოლას ადამიანის ცხოვრებისა და ბუნების შურყყველ, ფატალურ კანონებთან (იბსენის „მოჩვენებანი“ „ექიმი შტოკმანი“, ჰაუპტმანის „ავადმყოფი ხალხი“ და სხვ.). ყველა ამ დრამებში გამოყვანილია ან ძლიერის ხასიათის კაცი ან ძლიერის ვნებისა, ან ძლიერის სულის კვეთებისა, რომელიც ებრძვის გარემოებებს, ებრძვის მღვთომარობას და რომელიც დამარცხებული ეცემა ბრძოლის ველზე ისე, როგორც ჰამლეტი და ოტელო, ისე, როგორც ედიპი და ქანაროლინისა, შტოკმანი და სხვა.

სრულიად სხვა ტიპს წარმოადგენს რუსული დრამა.

ბელინსკიმ სთქვა, მგონი, პუშკინის „ბორის გოდუნოვის“ გამო, რომ რუსეთის ცხოვრება არ არის იმ წერტილზე მისული, რომ დრამისთვის მასალას იძლეოდესო. ეს შენიშვნა დღესაც მართალია. რუსეთის ცხოვრება ტრაგიზმითა და დრამატიზმით სავსეა. მაგრამ თვით უკანასკნელ დრომდე იგი ისე იყო მიდუნებული, მიუწელებული და დაბეჩავებული, რომ ბრძოლის დიად სურათს არ წარმოადგენდა. ბუნების უცნაურმა სისასტიკემ და ცხოვრების პირობათა ბარბაროსობამ რუსეთის ცხოვრებას ისეთი მუხრუქი მოუქირეს, რომ იშვიათად და ძნელად თუ როდისმე ღონიერად განძრეულა თვით უკანასკნელ დრომდის. კერძო პირადობა, კერძო ინიციატივა ისევე შეზოქილია და ისეთი ბორკილები ადევს, რომ შეუძლებელია ძლიერის ხასიათის განვითარება, რკინისა და ფოლადის ხასიათი ამგვარ პირობებში მეტად იშვიათი მოვლენაა. დრამას კი, რომელიც

ცხოვრების უდიდესი იმპულსის გამოხატულება, სკირია მავარი ხასიათის პირადობა, რომელმაც უნდა აწარმოვოს და განავლოს მთელი ცხოვრება. დრამაში გამოხატული ექიმი შტოკმანი და ელიზი, ნორა და ფედრა, როდრიგო და გაბლერი რომ არ იყოს, არც ერთი ის დრამა გროშად არ ელირებოდა, რომელშიაც ისინი შეადგენენ ცენტრს ინტერესისა და მოქმედებისას. ძლიერი პირადობის შექმნა კი დიად კულტურის ცხოვრებას შეუძლია, დიად განათლებულ ხალხს, როგორც იყვნენ ძველი ბერძნები, როგორც არიან ფრანგები და ინგლისელები, სკანდინავიელები და გერმანელები საზოგადოდ.

იღეთ სამაგალითოდ გორკის ორი უკანასკნელი დრამა „დაჩნიკი“ (ავარაკის ხალხი) და „მზის შვილი“ (დეტი სოლნცა). რა ამბავია, რა ცხოვრებაა შიგ გამოხატული და რა მხარე ცხოვრებისა? პირველში როლს ასრულებენ, — სწორედ და მარტო როლს ასრულებენ, — 40 წლის ვეკილი ათვისი 27 წლის ლამაზი ცოლით და 28 წლის თანაშემწით, 42 წლ. ინჟინერი თავისი 30 წლ. კაპუია მეუღლით, — ექიმი 40 წლისა ათვისი ცოლით, — ლიტერატორი 40 წლისა და ახალგაზდა ყმაწვილი კაცი 32 წლ., 25 წლის ახალგაზდა ყმაწვილი და 37 წლის ექიმი ქალი და სხვ. ასე. ეს რამდენიმე პირი მიდის, მიდის, ლაპარაკობს ერთსა და იმავე თემაზე — „უჰ, რა მოწყენას!“ — ერთმანეთს ემიჯნურებიან... სრული მანეკენები არიან, უსულ-უგულო, სრული არარაობა და სრული უბადრუკობა: არც კეთილნი არიან და არც ბოროტნი, არც ნაზნი და ფაქიზნი, არც ბინძურნი და საზიზღარნი: მხოლოდ — საშუალობა საცოდავი და გულის ამრევი. ადვოკატი და ინჟინერი ხშირად ვადაჰკერენ ხოლმე, თანაშემწე ადვოკატისა ინჟინერს ცოლს ართობს. ადვოკატსა და ინჟინერს რაღაც ცუდ საქმეებს ეწამებოიან, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რაშია ეს საქმე.

სრული მათი დახასიათება იმ უკანასკნელ სიტყვებშია, რომლითაც დრამა თავდება: „სულუყველაფერი ეს არარაობაა, ჩემო მეგობარო.“

სწორედ არარაობა, არარაობა გრძნობისა, არარაობა მოქმედებისა და არარაობა თვით სიტყვისაც კი... ვანა შეიძლება კაცმა ეს არარაობა გახადოს დრამის შინაარსად? სად არის აქ ცხოვრება, სად არის აქ ცხოვრების დედა-მარღვი — ბრძოლა, სად არის ერთად ერთი პირადობა, რომელიც ბატონი იყოს ვადადგმულ ნაბიჯის ან ენაზე მომდარის სიტყვისა? რაც გინდათ დაარქვით ამას, მაგრამ ეს არ არის არა თუ დრამა, არაჰედრეკ კომედია, არც მოთხრობა, არც ლიტერატურული ნაწარმოები, ვინაიდან სიცოცხლე ზე ცხოვრება მისუსტებული და მიმქაღია შიგ. მართალია, მწერლის ნიჭი დიად დასაფასებელი იქნებოდა, თუ გონების ლამპრით გაენათებია ეს მიკრუებული და მიტოვებული უწყქლი, სადაც თუ არ არის, უნდა იყოს მაინც რაღაც მსკავისი მაჯის ცემისა, მაგრამ ავტორის ნიჭმა ეს ვერ შესძლო.

ესეთისავე ტიპის არის მეორე დრამა გორკისა „მზის შვილები“. როლს ასრულებენ ერთი მეცნიერი (ვალენე), მისი ცოლი (ელენე), მისი მეგობარი მხატვარი (ვაგინი), მისი და (ლიზა), რაღაც ჰაეროვანი განხორციელებული სევდა და გოდება და ერთი ექიმი ბეთალი. რომელსაც უყვარს მეცნიერის და. — ეს ინტელიგენციისა ანუ „მზის შვილების“ წარმომადგენელი; ხოლო მეორეს მხრით არიან მიწის სიბნელის შვილები ანუ თხუნულები, როგორც მათ უწოდებს ერთი მოქმედი პირი (ლიზა). ეს არის ლოთი მქედელი (ეგორი)

და ხულოვანი (იაკობი). მეცნიერი არის მუყაითი და გატაცებული მშრომელი, მეტად ნათელის და წმინდა აზრებისა და აღარ სცალია თავის ლამაზ მეუღლის სააღერსოდ. მეუღლეს, — მოწყენილს ზე ახალგაზდას, — ენატრება ხვეწნა-კოცნა ზე ალერსი. მას კულში დასდევს მხატვარი, მეგობარი მეცნიერისა, მაგრამ იმის მაგიერად, რომ ქალს გადაუშალოს გული და აგრძნობინოს თავის სიყვარულის ძლიერება, ქმარს ეუბნება, შენი ცოლი მიყვარსო. მეცნიერი ამ განცხადებას მეცნიურულის სიმშველით მიიღებს და ჰკითხავს, — მე რე, ჩემი ცოლი რას გეუბნება, უყვარხარო? ცოლს კი ქმარი უყვარს, მაგრამ გაჯავრებულია, რომ იგი თავის ქიმიის ქურქლებს უფრო დიდ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ცოლს. ხოლო, როცა ერთმანეთს გამოელაპარაკებიან და ქალი დარწმუნდება, რომ ქმარს უყვარს, მხატვარს სიცილით ზურგს შეაქცევს. ბეთალს უყვარს მეცნიერის და; ერთ-ორჯერ კი ეტყვის, გამყვევი ცოლადა, მაგრამ ადვილად ითმენს უარს და უფრო მის რძალს უცხადებს თავის გულის ნადებს, თვითონ ქალს კი დასდევს უკან და ხენემის. მე რე წავა და თავს ჩამოხრჩობს. ეგორი თავის ცოლსა სცემს, როგორც კი დათვრება, და როცა მეცნიერი დარბებას მისცემს, კინაღამ მასაცარ გაღახავს. ბეთალის დას მელა ნაის მეცნიერი უყვარს და თავის სიყვარულს მის ცოლს უცხადებს და ეხვეწება, — შენი ქმარი დაჰანებეო. ისიც ქმარზე მოავდებს სიტყვას, ქმარს კი ცოლი უყვარს.

ხოლოვანობა, ხალხი აჯანყდება ეგორისა და ხულოვანის მეთაურობით. ეგორი კინაღამ არ წახარჩობს მეცნიერს, მაგრამ მეუზოვე დაიხსნის და ასე თავდება პიესა. იგივე ნაკლი, — არავითარი მოძრაობა. ლიზა ვადის-გამოდის, ბეთალი თან დასდევს, ელენეს თან დასდევს მხატვარი, — არავითარი გრძნობა და მისი სიძლიერე. ელენე აკი ეუბნება მხატვარს, როცა იგი გატაცებული უხსნი სთავის გრძნობას პირველად ლაპარაკობთ ასე გულწრფელად, და ეს მაშინ, როცა ელენე დარწმუნდა, რომ ქმარს უყვარს და მხატვარს გვერდი აუქტია.

სად არის აქ ან ერთად ერთი ხასიათი, რომელსაც შეეძლოს ცხოვრების თვით უწყვილმანესი საგნები განავოს, სად არის აქ თვისება ხასიათისა, რომელიც ანადგურებდეს გარემო ყალიბებს, ან იწვევდეს ვისამე წინააღმდეგობას? სრულიად არსად. ეს არის შაბლონური რეალიზმი, თუ გნებავთ, ესე იგი ცხოვრების ზედა-პირის ვადმოცემა, მაგრამ რაც უნდა უკიდურესს რეალიზმს სცემდეს კაცი თავყანს, იმ ნაწარმოებს ლიტერატურულ ნაწარმოებად ვერ დავსახავთ, რომელიც ყოველ დღიურ სრულიად უმნიშვნელო მოვლენებს აღგვიწერს, ანა და სრულიად უმნიშვნელო კაცებს დაგვანახებს, კაცებს კი არა — კაცუნებს, პაიკებს. მე მესმის, რომ არა ჩვეულებრივ ნიჭს შეუძლია მართლა თვით უმნიშვნელო პირადობაში ღრმა და არსებითი მხარე დაგვანახოს, თვით ყოველდღიურ ჩვეულებრივ მოვლენის ქვეშ დაგვანახოს ძლიერი მოვლენა, საუკუნო საიდუმლოს ყურე ვავენათოს, მაგრამ ამას აქ ჩვენ ვერა ვხედავთ. ამ დრამებში გამოხატულია მარტო უმნიშვნელო არსებანი და უმნიშვნელო მოვლენა. რას ელტვის ან მეცნიერი, ან მხატვარი, ან ექიმი, ან სულით ავადმყოფის მსგავსი ჰაეროვანი არსება? რა ელოდება წინ მათ სურვილს, რა ბრძოლას უწყვენ იგინი ამ ხელის შემშლელ გარემოებათ, როგორ იბრძვიან თავისის აზრის განსახორციელებლად და როგორ იმარჯვებენ ან მარცხდებიან ამ ბრძოლაში, — ეს ყოველივე უყურადღებოდ დატოვებულია. ვანა შესაძლო არ არის, რომ მეცნიე-

რების იდეალის ხელის შემშლელი პირობები დაენახებინა ავტორს, ან და მხატვარის ლტოლვილების დამარცხება ეჩვენებინა? ანა და სიყვარულის ძლიერის ძალით შეპყრობილი არსებები ეჩვენებინა, მისგან გაუბედურებულ და განადკურებული, ვინ და მისგან ამალღებული ან გასპეტაკებული? ანა და დაენახებინა ბრძოლა ეგრედ წოდებულ ინტელიგენციის და ხალხის მისწრაფებათა შორის და მთელი ტრაგიზმი ამ შეტაკების? ესენი არც ერთი ავტორს არ უკისრებია და არც შესაძლებია, მგონია. თუ მიზნად დრამის ინტელიგენციისა და ხალხის დაპირდაპირება აქვს, — ევრაფერი ხალხის წარმომადგენელია იაკობ ტროშინი, ხულიგანი და ლოთი მკედელი ზ კიდევ უფრო უმნიშვნელო წარმომადგენელია ინტელიგენციისა ეს მეცნიერი და ეს მხატვარი. განა ვინმე მათ ინტელიგენციის უწოდებს, განა დიპლომის მიღება ვისამე თვალზე ინტელიგენტობასა ნიშნავს, ანა და მაღალ მაღალი ფრაზების წამოროშა? თუ მეცნიერი უნდოდა დაენახებინა, უნდა ვიცოდეთ, სახელით არის იგი მეცნიერი თუ ზართლაც დაუშასხურებია ეს სახელი. თუ მხატვარია, უნდა ვიცოდეთ, საიდან ჩემულობს იგი მხატვრობას. ანა გაიხსენეთ ზუდერმანის „სოლომონის დაღუპვა“ და ნახეთ, რანაირი დრამატიული სიუჟეტი შეიძლება კაცმა შექმნას ხელოვნების იდეალებისა და დღევანდელ ცხოვრების პირობათა დაპირდაპირებით. ანა გაიხსენეთ იშენის ექიმი შტოკმანი და ნახეთ, მეცნიერ საზოგადო მოღვაწისა და ბრბოს შეტაკების ნიადაგზე რა დიდებული დრამა შეიძლება შექმნას ნიქმა.

რუსული ახალი დრამა, მაგ., ჩეხოვის დრამები, გორკის დრამები სრულიად მოკლებულნი არიან მს, რაც დრამის არსებით მხარეს შეადგენს და რომლის შესახებაც ზემოდ ვილაპარაკეთ, — აქ ნასახიც არ არის ცხოვრების დედა აზრის, ცხოვრების საინტერესო მომენტისა, — ცხოვრების ბრძოლისა. ჩეხოვის ერთი რამ მაინც აქვს გამოხატული, — უნუგეშობა და ფატალური სიმაკაცე რუსეთის ცხოვრებისა. მისი დრამების მანქანები ამ რკინის კანონისაგან ისე არიან დაბეჩავებული და დაჩაგრულნი, რომ სულის ამოსუნთქვასაც ვერა ბედავენ და არც არავითარი სურვილი აქვთ ამ დამონებასა და სისასტიკეს შეებრძოლონ.

ჩეხოვი ამ ცხოვრების უხილავ ძალების სიმწვავეს მაინც გავრძნობინებს ხოლმე, თუშეკა აქვს არ არის არავითარი ნასახი სიცოცხლისა და ბრძოლისა, — საფლავ-სებრბივი დუმილი, სიჩუმე და საფლავისავე საშინელება... მაგრამ ამის ნიქიერი დასაბუთება ბადებს „ერაუვარ განწყობილებას“, რომელიც განსაკუთრებულ ხასიათს აძლევს ჩეხოვის დრამებს.

გორკის დრამებში კი ესეც არაა სჩანს, — გორკის დრამები მანქანების მოძრაობაა, მეტი არაფერი კ. ა.

\*) ერთად-ერთი გმირი გორკისავე დრამისა (ავარაკის ხალხი) მშვენივრად ასურათებს გორკის „ინტელიგენტებს“: „არა, ჩვენ არა ვართ ინტელიგენცია! ჩვენ სულ სხვა რამა ვართ... ჩვენ ავარაკის ხალხნი ვართ ჩვენს ქვეყანაში — ვიღაც მოსულეა... ჩვენ უაზროდ ვზრუნავთ და ვიღვწით და ვეძიებთ ცხოვრებაში მხოლოდ საამურ ადგილებს... არას ვაკეთებთ და იმდენს ვლაპარაკობთ, რომ კაცს გული აერევა... ჩვენი ლაპარაკი სიყალბით არის სავსე, რათა ჩვენი სულის უბადრუკობა ერთიმეორეს დაუფაროთ. ჩვენ გამოვიპირანკებით ხოლმე ლამაზ ფრაზებში და მწიგნობრობის სიბრძნის ნაფლეთებში, ვლაპარაკობთ ეროვნების ტრაგიზმის შესახებ, თუმცა არ გვეხმის იგი; გვეყვარს ოხვრა, კენესა და ჩივილი... არავინაა გორკის ეს ინტელიგენციალ მიანდეს, იმ ინტელიგენციალ, რომლის წევრადც ისიც ითვლება, რასაკვირველია.“

ქალმახილიძე

ჩემისთანა უბედური  
ვის სმენია, ვის უნახავს?  
მე რომ საქმე მომივიდა,  
იმისთანა თქვენს მტერს და ავს!..

ვეპყრობდი და ოთხმოც წლამდი  
ვიყავ სრული ბედნიერი  
და ჩემ ყოფა-ცხოვრებასაც  
შენატვროდა მთელი ერი...

სადაც მდიდრებს ახსენებდნენ,  
მეც ვიყავი მათში... რაღა!..  
ქუდს მიხდიდნენ, თავს მიკრავდნენ,  
დაედოდი როგორც ალა.

გამოვქედე სახლი, კარი...  
ავიშენე საარია;  
საეზოვედ მივეც ბაღია,  
შიგ ჰყავოდა ვარდა, ია.

მაგრამ ერთხელ უმიზეზოდ  
კარს მიამადგა ვიღაც მტერი,  
ნაცარტუტა ამადინა,  
გადამიწვა ყოლიფერი!

ალარც სახლი, ალარც კარი,  
ალარც რამე სხვა ქონება!...  
მაგრამ ამას რაღას დავსდევ?  
გამეუანტა მით გონება,

რომ შევილიც კი ერთად-ერთი  
დამიხვრიტეს თვალის წინა!...  
დაერჩი ოხრად, ასე მარტო,  
ალარსად მაქვს ალარც ბინა!..

მთას შევსტირი, კლდეს შევბლაგი,  
დამიბნელდა ეს ქვეყანა.  
ღმერთო ჰკითხე, ამ ყოფაში  
ვინც მოხუცი მიმიყვანა!!

აკვა

პრისის თამისუღუბა და გიურკოკაში

ის, რაც გუშინ საკამათო სჯენად ითვლებოდა, დღეს ყველასათვის ცხადია. რაზედაც გუშინ ოცნებასაც ძლივს და ბედვდა ხალხი, დღეს მის ძირითად უფლებად ითვლება. საზოგადოების გამოუზიზღლებას თან მოჰყვა ამ ძირითად უფლებებისთვის ბრძოლა, რომელიც დღესაც კიდევ არ არის დასრულებული. ეს ბრძოლა სხვა და სხვა სახეს იღებს იმის მიხედვით, თუ რა ძალის მქონენი არიან მებრძოლნი. იქ, სადაც ხალხის ძალა დიდია, ხალხი აშკარა მოქმედებას არ ერიდება, იქ კი, სადაც გატაცება და გრძნობა სკარბობს რეალურ ძალას, საზოგადოებში მოქმედი პარტია საერთო, აშკარა მოქმედებას ერიდება და ან ნიადაგის მზადებას უნდება, ან მოწინააღმდეგე მანაკში ცალკე პირთა დამარცხებას და ჩამოშორებას ცდილობს.

გადასახადი შემოსავალზე

დღევანდელ ვითარებაში ეს აზრი მართლდება, თუ დავაკვირდებით როგორც მებრძოლ პარტიების მოქმედებას, ისე მთავრობის და მის მომხრეთა მოქმედებასაც. ხან აშკარად იბრძვის ბიუროკრატია, ტყვიის მტყარცნელებს და ზარბაზნებს ავზავნის „ხალხის დასამშვიდებლად“, არბევს და აწიოკებს თავის მოწინააღმდეგეთა ქონებას, ხან კიდევ ცდილობს თავის ნამდვილ სურვილების დამალვას, ლიბერალურ რეფორმების დაპირებას ეფარება, უნდა ოფიციალურად ხალხი დაეკმაყოფილოს ამ დაპირებით და ამასობაში არა ოფიციალურად თავის წინანდელ მოქმედებას განაგრძობს, თავის დაბალ წარმომადგენლებს საიდუმლო ცირკულიარებით ხალხის საწინააღმდეგო მოღვაწეობას უბრძანებს.

სწორედ ამიტომ იმ დროს, როდესაც ხელმწიფის მანიფესტებით ხალხს სხვა და სხვა უფლება ეძლევა, მინისტრების ცირკულიარები ამ მანიფესტებს აქარწყლებენ და ხალხს უწინდელივით მონობაში აფდებენ. სწორედ ამიტომ ყველა რეფორმები რუსეთში დღემდის მხოლოდ ქალღმერთ დაწერილი რჩება და ხალხი თავის უფლებებობას ვერ ასცდენია...

სიტყვის ბრძანების თავისუფლება, როგორც საპარლამენტო ცხოვრების აუცილებელი უფლება, ძველი წყობილების მომხრეთათვის საზარალოა. აქ, ამ ასპარეზზე არ სჭირს მათი ხმალი და ტყვია, დაბეჭდილ გაზეთს ან წიგნს ვერ მოხვდება. საზოგადოების უკმაყოფილება კრებებზე თავს ვერ იჩენდა, ვინაიდან კრებებს გუბერნატორები უკრძალავდნენ და თავშეყრილ ხალხს მხედრობა მთრახვებია და ტყვეებით ჰფანტავდა. კრებების აკრძალვა შეეძლო გუბერნატორებს, — წიგნებისა და გაზეთების საერთო აკრძალვა ასე ადვილად არაა, — ამიტომ ხალხის უკმაყოფილებამ სამწერლო ასპარეზზე იჩინა თავი, და აი აქ იწყებენ ძველი წყობილების მომხრენი ნამდვილპარტიზანულ ბრძოლას პრესასთან: სადაც ახერხებენ, ჰკეტავენ გაზეთებს, რედაქტორებს და გამომცემლებს ატუსაღებენ, მათ გადასახლებას ეშუქებიათ, თუ რადაქტორმა გაზეთს „მიმართულება“ არ გამოუცვალა. ახსოვთ ის დრო, როდესაც აღმინისტრაციის ბრძანებით ხალხი მთავრობისთვის საყვარელ ხატებზე ლოცულობდა და ახლაც ის დრო ჰგონიათ, ავიწყდებათ, რომ დღევანდელი დრო გუშინდელს არაფრით აღარ ჰგავს.

ამ პარტიზანულ ომს არ ეკარობენ და ახლა პეტერბურგში თურმე ლაპარაკია აღძრული იმაზე, რომ უკვე დაბეჭდილი და გასაყიდად გამოტანილი წიგნები შეეგროვონ და დაწვან. ეშინიათ. წიგნების. ამ წიგნებში გამოთქმული აზრები მათთვის საშიშია, თუმცა ეს წიგნები უმეტეს ნაწილად ნათარგმნი არის და საზღვარ გარეთ მათ ხალხისათვის არაფერი ზიანი არ მოუტანიათ.

ეს წიგნები მხოლოდ ხელს უწყობენ ხალხის გამოფხიზლებას, ეს გამოფხიზლება ევროპაში არავის არ აშინებს.

ეს გამოფხიზლება საშიში არის იმათთვის, ვინც იცის, რომ მართვა-გამგეობის ხალხის წარმომადგენელთა ხელში გადასვლას თან მოჰყვება იმათი გასამართლება, ვინც ცდილობდა და ახლაც ცდილობს ხალხს თავისუფლებისაკენ მიმავალი ყოველივე გზა დაუხშოს და შეუძლებლად გახადოს ახლანდელ სახელმწიფო წყობილების გამოცვლა.

უკვე დაბეჭდილ წიგნების შეგროვება და დაწვა სულთ მოზრძავე ბიუროკრატისათვის ხელუხლებელ ძეგლად გამოდგება და მასთან ერთად გაუთხრის ძველ წყობილებას იმ ორმოს, რომლიდანაც ამოსვლას იგი ვედარავითარ ზარბაზნების საშუალებით ვერ მოახერხებს.

სახელმწიფო ხალხისთვის არსებობს და სახელმწიფოს მთავრობა ვალდებულია რაწინაირად დააკმაყოფილოს ხალხის მრავალგვარი საჭიროება. საერთო მშვიდობიანობის დამყარება, ხალხის საკეთილდღეო შესაფერ პირობების შექმნა, სასამართლოს მოწყობა, გზების გაყვანა, სწავლა-განათლების გავრცელება და, საზოგადოდ, ყველა ის საქმე, რომელიც კერძო ადამიანის ძალღონეს აღემატება და ხალხის საკეთილდღეოდ კი აუცილებლად საჭირო არის, ამ ყამად მოეთხოვება მთავრობას, რომელიც ვალდებულია ეს საქმე შესაფერად მოაწყოს.

მაგრამ, საამისოდ ფულია საჭირო. უფულოდ, ჯამაგირის მიუცემლად, მრავალ სახელმწიფო მოხელეთა შენახვაც შეუძლებელი შეიქნებოდა. ფული მთავრობას ან სახაზინო ქონებიდან შემოსდის (მიწების, ტყეების, რკინის გზების და სხვ. შემოსავალი) ან სხვა და სხვა საგანგებოდ შემოდებულ გადასახადის სახით.

უწინდელ დროში მთავრობა უფრო სახაზინო ქონების შემოსავლით ისტუმრებდა საერთო ხარჯებს და დღესაც ზოგიერთ სახელმწიფოში, როგორც მაგ. რუსეთში, სახელმწიფოს ხარჯთაღრიცხვაში სახაზინო ქონების შემოსავალს შესამჩნევი ადგილი უჭირავს. მაგრამ, რაც მეტი დრო გადის, გადასახადს მეტი მნიშვნელობაც ეძლევა და საზღვარ გარედ ყველა სახელმწიფოში ამ ყამად მთელი საფინანსო სისტემა სხვა და სხვა გადასახადებზე აგებულია.

ეს გადასახადი, რომელიც ხალხს ხვდება, მისთვის დაკარგული არ არის, — მთავრობამ ეს ფული უნდა მოახმაროს ისევე ხალხის კეთილდღეობას. მართალია, ზოგან მთავრობა თავის მოქმედებაში ამ მიზანს დალატობს, ხალხში გადასახადს ჰკრფის და ფულს თავის ნებაზე ფლანგავს და ხარჯავს თავის ახლობელთა გასამდიდრებლად, მაგრამ ასეთ მთავრობის ქცევა ავაზაკის ქცევას ჰგავს, რომელიც გზაში ფულს ართმევს გამველს... მთავრობას თუ უნდა ავაზაკ-მცარცველის სახელი არ დაიმსახუროს და ხალხში უკმაყოფილება და სამართლიანი გულისწყრობა არ გამოიწვიოს, მის მოქმედებას მიზნად უნდა ჰქონდეს ხალხის საერთო კეთილდღეობა.

გადასახადები ს რიგიან მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ სახელმწიფოში. იქ, სადაც ხალხს მძიმე და აუტანელი გადასახადები აქვს დატვირთული, სადაც გადასახადი სამართლიანობის პრინციპზე აგებული არ არის, სადაც ხალხის ერთი ნაწილი შედარებით ნაკლებს იხდის და მეორე ნაწილს კი სულს უზუთავს გადასახადის სიმძიმე, — იქ აუცილებელია ხალხში უკმაყოფილების გავრცელება, შინაური ბრძოლა მთავრობასთან, რევოლუცია, ხშირად თვით სახელმწიფოს დამხობაც. იმისთვის, რომ გადასახადი ყველასთვის ადვილი ასატანი შეიქნეს, საჭიროა შემდეგი:

1) გადასახადი ყველას ქონების კვალობაზე უნდა ხვდებოდეს, ამას სამართლიანობა მოითხოვს. უწინდელ დროში კი მთავრობა მდიდრებს ყოველივე გადასახადისაგან ანათავისუფლებდა, და გადასახადი მთელის თავის სიმძიმით აწევებოდა ხალხის ღარიბ უმეტესობას.

2) გადასახადის რაოდენობა გარკვეული უნდა იყოს, რომ ყველამ იცოდეს დანამდვილებით, რამდენი ხვდება მას გადასახდელად, აღმოსავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში კი გადასახადი ამკრეფის სურვილზე დამოკიდებული, მეტი თუ ნაკლები გადაახდევინოს ამა თუ იმ პირს.



გადასახადი პირდაპირი და არაპირდაპირია. პირდაპირი გადასახადი ის არის, რომელიც იმასვე ხედება, ვისგანაც აპირებს მის მიღებას მთავრობა. არა პირდაპირი კი ამა თუ იმ პირს ხედება იმ მიზნით, რომ იგი ამ გადასახადს სხვებზე გადაიტანს და ამნაირად ხაზინაში შეტანილ ფულს დაიბრუნებს, არა პირდაპირი გადასახადია მაგ. თუთუნის აქციზი. პაპიროსების მექარხნე ხაზინაში აქციზის ფულს იხდის, მაგრამ შტამბებზე ამ ფულს ახდევინებს პაპიროსის მყიდველებს. პაპიროსის კოლოფებს ბანდეროლი აკრავს, ეს ბანდეროლია ის გადასახადი, რომელიც არა პირდაპირ ხედა პაპიროსის მყიდველს და რომელიც წინდაწინვე შეიტანა ხაზინაში მექარხნემ.

არა პირდაპირი გადასახადი უსამართლოა, — იგი თანასწორად ხედება მდიდარს და ღარიბს, იგი, ამიტომ, ღარიბებისთვის შედარებით უფრო ძნელი ასატანია.

რა საშუალებით შეიძლება საქმის მოწყობა ისე, რომ მდიდარს ღარიბზე მეტი გადახედეს? რომელი გადასახადია უფრო სამართლიანი?

საფინანსო მეცნიერება ამის პასუხს იძლევა და ამბობს, რომ საამისოდ უნდა იქმნეს შემოღებული გადასახადი შემოსავალზე.

არც ერთს სხვა გადასახადს იმდენი კამათი არ გამოუწვევია, რამდენიც ამას. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ყველა სხვა გადასახადი უნდა მოისპოს და მთავრობის ხარჯების გასატუმბრებლად უნდა დარჩეს მხოლოდ ხსენებული გადასახადი შემოსავალზე, — სხვები კი, პირიქით, ამბობენ რომ იგი „სიძულვილის ღირსია“, „მავნებელი ხალხისთვის“, სახელმწიფოს „სახელის გამტეხი“. განსაკუთრებით ბევრი მტერი ჰყავდა მას პირველად ინგლისში, მაგრამ შემდეგ ამ გადასახადმა იქ მაგრად მოიკიდა ფეხი და საზოგადოების გული მოიგო.

ამ გადასახადს ერთი აშკარა ღირსება აქვს, რომლის უარყოფა არავის არ შეუძლია, — იგი ყველას ხედება და ხედება სამართლიანად, — შეძლების მიხედვით. ეს გადასახადი კიდევ იმითაც მოსაწონია, რომ შესაძლოდ ხდის უფრო ღარიბების ყოველივე გადასახადისაგან სრულ განთავისუფლებას. რამე შემოსავალი სახელმწიფოში ყველას აქვს, უშემოსავლოდ ადამიანი მოკვდებოდა შიმშილით, მაგრამ ღარიბ კაცისთვის მის პატარა შემოსავალს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მდიდრისთვის მისას. ღარიბი კაცის შემოსავალი ძლიერ ყოფნის მის დღიურ ლუკმა ჰურს, ცხოვრებისთვის აუცილებელ ხარჯებს ძლიერ ფარავს, მდიდარი კი მთელ შემოსავლის დახარჯვასაც ვერ ახერხებს. ამიტომ ცხადია, რომ ღარიბს თავის მცირე შემოსავლიდან კიდევ ხაზინაში რისიმე გადახდა არ შეუძლია. ყველა სახელმწიფოში, სადაც შემოსავალზე გადასახადია შემოღებული, შემოსავლის პირველი რამოდენიმე ასი მანეთი ცხოვრებისთვის აუცილებელ საქირად ჩათვლილია და გადასახადისაგანაც განთავისუფლებული.

იმისთვის, რომ ხსენებული გადასახადი ყოველივე ნაკლს მოკლებული იქმნეს, საქირაა ყველა მოქალაქესი შემოსავალი სისწორით გამოიანგარიშოს. ეს გამოიანგარიშება მეტად ძნელია და სხვა და სხვა სახელმწიფოში იგი ერთნაირად მოწყობილი არ არის. ზოგან, როგორც მაგ. პრუსიაში, ინიშნება განსაკუთრებული კომისია, რომელიც ადგილობრივ იკვლევს ყველას შემოსავალს. ეს საშუალება შემოსავლის გამოსაკვლევად შესაძლებლად ხდის მრავალ შეცდომას, ვინაიდან გარეშე პირს ყოველთვის არ შეუძლია დანამდებლებით გაიგოს სხვისი შემოსავალი, ხშირად რომელიმე ძუნწი

ადამიანი კომისიას ღარიბად მოეჩვენება და მფლანგავე კაცი კი მდიდრად. მაგრამ გამოკვლილებამ გვიჩვენა, რომ ამისა და მიუხედავად და მიუხედავად იმისა, რომ ყველას შეუძლია განასაზიეროს კომისიისაგან გამოიანგარიშებულ შემოსავლის რაოდენობა, ასეთი საჩივარი მეტად იშვიათია, — უმეტეს ნაწილად ყველა კმაყოფილი რჩება კომისიის გამოიანგარიშებით. მეცნიერი სტატისტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს კომისიები საშუალო ქონების პირთა შემოსავალს საზოგადოდ მეტის სისწორით ანგარიშობენ, უფრო შეძლებულთა შემოსავლის გამოიანგარიშებაში კი მათ ხშირად შეცდომა მოსდით. საზოგადოდ ეს კომისიები შემოსავლის თითქმის ერთ მეოთხედს აკლებენ ყველას.

შემოსავლის გამოიანგარიშებლად კიდევ მეორე გზა არის, რომელიც მიღებულია ინგლისში. იქ ყველა ვალდებულია თავისი შემოსავალი თვითონ განაცხადოს და შემდეგ ამ განცხადებას იხილავენ და ამოწმებენ ადგილობრივი კომისიები. ეს წესი იმით არის ცუდი, რომ ხშირად განცხადებებში დამწერი თავის შემოსავალს უკლებს, რომ ამნაირად შემოიკლოს გადასახადიც. გამოიანგარიშებულია, რომ განცხადებების თითქმის 40% არ ეთა ხება სიმართლეს.

მაგრამ, არ არსებობს არც ერთი ნაკლი, რომლის თავიდან აცილება ზოგიერთ შემთხვევაში არ იყოს შესაძლებელი, და თუ არსებობს რომელიმე ნაკლი ამა თუ იმ გადასახადში, ამის გამო მთელ გადასახადს ან ყველა გადასახადის უარყოფა არ შეევიძლია. გადასახადი საქირა არის და რაკი ყველაფრით სრულ გადასახადი არ არსებობს, ამიტომ ისევე ისეთი გადასახადი უნდა შემოვიღოთ, რომელიც შედარებით უკეთესია. ასეთია სწორედ გადასახადი შემოსავალზე. საქირა მხოლოდ მეტი დაკვირვება შემოსავლის გამორკვევის დროს.

ადამიანის ყველა შემოსავალს ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს. წარმოიდგინეთ ფულის პატრონი, რომელსაც 50.000 მანეთი თანხა აქვს და რომელსაც ყოველ წლიურად, 3%/ის ანგარიშით, ათას ხუთასი მანეთი შემოსავალი აქვს უზრუნველყოფილი. და მასთან ერთად წარმოიდგინეთ მეორე ადამიანი, რომელიც სადმე კერძო სამსახურშია და ჯაპაგორად იმავე ათას ხუთას მანეთს ღებულობს. ორავე შემთხვევაში შემოსავალი იგივე არის, მაგრამ ორივე შემოსავალს სულ სხვა ფასი და მნიშვნელობა აქვს. პირველ შემთხვევაში ადამიანის სრულებით უშრომლად უზრუნველყოფილი აქვს ხსენებული შემოსავალი, მეორე შემთხვევაში კი ეს შემოსავალი უზრუნველყოფილი არ არის, მის ზოგანს შრომა სკირია, კერძო სამსახურის დაკარგვით შეიძლება მთელი შემოსავალიც დაჰკარგოს ადამიანმა. ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში ერთისა და იმავე შემოსავლის თანასწორად დაბაჟვა სამართლიანობას მოკლებული გამოდგებოდა.

პრუსიაში ახლანდელი გადასახადი შემოსავალზე შემოღებულია 1873 წელს, როდესაც ახალ კანონის ძალით შეიცვალა წინეთ არსებული კლასიური გადასახადი. ხალხი, წლიურ შემოსავლის მიხედვით, კლასებად დაყოფილია. ისინი, ვინც 900 მარკაზე ნაკლებ შემოსავალს იღებენ ყოველწლიურად, გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან. თვითონ გადასახადი ორ ნაწილად გაყოფილია: ერთია კლასიური და მეორე კლასიფიციური. პირველი ხედება იმათ, ვისი შემოსავალიც 900 მარკაზე მეტია და 3000 მარკას არ აღემატება. აქ 10 კლასია. ყველაზე უფრო დაბალ კლასისათვის გადასახადი 6 3/4 მარკას უდრის ე. ი. 0,69%, უმაღლესი კლასი კი იხდის

54 მარკის ან 1,890<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ანაირად გადასახადი პროგრესიული სახეს იღებს. მეორე, კლასიფიკაციური გადასახადი, იმათ ხედება, ვისი შემოსავალიც 3000 მარკაზე მეტია. აქ სულ 40 კლასსია, გადასახადი უდრის 2,5-დან 2,87<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე.

ინგლისში გადასახადი შემოსავალზე უკეთესად მოწყობილია, ვიდრე დანარჩენ სახელმწიფოებში. იქ ყოველწლიურად ირკვევენ ხალხის წარმომადგენლები, თუ რამდენი პენსი გადასახადი უნდა დაედოს შემოსავლის თითო გირვანქა სტერლინგს, და ამიტომ იქ მეტად ადვილია გადასახადის სახით მოსალოდნელ შემოსავლის რაოდენობა გამოიანგარიშოს ადამიანმა, და ამასთან შესაძლებელიც ხდება ამ შემოსავლის სურვილისამებრ მომატება ან დაკლება. ამ გადასახადის თითო პენსს შემოაქვს წელიწადში 20 მილიონ მანეთამდე. უდრის გადასახადი ჩვეულებრივ 5-7 პენსს გირვანქა სტერლინგზე და, თუმცა ყირიმის ომის დროს იგი თითქმის 16 პენსამდის ავიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, გლადსტონის მონისტობის დროს იგი 2 პენსზე ჩამოვიდა.

ინგლისში კანონი ყველა შემოსავალს ხუთ ნაწილად ჰყოფს 1) უძრავ მამულების შემოსავალი. 2) უძრავ მამულების მოიჯარადრეთა შემოსავალი. 3) ნაღდ ფულის, თანხების შემოსავალი. 4) თავისუფალ პროფესიების, ვაჭრების და მრეწველების შემოსავალი და 5) სახელმწიფოსაგან მიღებული ჯამაგირი და პენსია. ამათ სხვა და სხვა გადასახადი ხედება, რადგანაც მიღებულია, რომ ყველას თინასწორი მნიშვნელობა არა აქვს. გადასახადისაგან განთავისუფლებულია ყველა, 1) ვისი შემოსავალიც 150 გირ. სტერლინგს არ აღემატება 2) საქველმოქმედო მიზნით შემოსული ფული. 3) საავადმყოფოების და სასწავლებლების შემოსავალი 4) საურთიერთო დახმარების საზოგადოებანი, 5) შემნახველი კასები. შემოსავლის გამოანგარიშების დროს აკლებენ 120 გირვ. სტ. იმათ, ვისი შემოსავალი 400 გირვ. სტერ. არ აღემატება და შემოსავლის 1/8 ნაწილს, რომელიც საქირად მიჩნეულია ადამიანის დაზღვევისათვის

ამ გადასახადის სახით ინგლისის ხაზინაში ყოველწლიურად თითქმის 158 მილიონი მანეთი შემოდის.

პრუსიაში და ინგლისში შემოღებული გადასახადები ერთმანეთს რომ დაეადართ ადვილად მოეხედებით, რომ ინგლისური წესი ბევრად უფრო მოსაწონია. იქ შემოსავლის ყოველ მანეთს შესაფერი გადასახადი ხედება, პრუსიაში კი, სადაც შემოსავალი კლასებზე დაყოფილია, 40,000 და 45,000 მანეთის მქონე ერთსა და იმავე ფულს იხდის, რადგანაც ორივე ერთსა და იმავე კლასში ითვლება.

ამ ორივე სახელმწიფოს ისტორია გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია შემოსავალზე გადასახადს ორივესათვის. ინგლისში, სადაც ვაჭრობა და მრეწველობა ათასგვარ აქციონებით შეხუთული იყო და არაპირდაპირ გადასახადების სიმძიმე აუტანელ ტვირთად აწვა ღარიბ ხალხს, მხოლოდ ამ ახალ გადასახადის შემოღებით შესაძლო შეიქმნა აქციონების მოსპობა, ვაჭრობის განთავისუფლება და ფართო ფინანსიურ რეფორმების შემოღება ხალხის შეუწუხებლად. პრუსიაში კი, პროფ. გელდერისის მოწოდებით, „უამგადასახადოდ შეუძლებელი იქნებოდა 1815 წლის ომიანობით შესუსტებულ საფინანსო ძლიერების აღდგენა, სახელმწიფო ვალის შემცირება, ჯარებში ახალ წესების შემოღება და ახლანდელი პოლიტიკური გაძლიერება.“

არაპირდაპირი გადასახადი თუ განსაკუთრებით ღარიბებისთვის ძნელი ასატანია, გადასახადი შემოსავალზე სწორედ ღარიბებს შედევათ აძლევს და მთელ თავის სიმძიმით უფრო

შემდებულ კლასებს აწევება, არაპირდაპირი გადასახადი თუ არ შეიძლება თავის ნებაზე მოუმატოს და დაუკლოს ადამიანმა, შემოსავალზე გადასახადი ამ ნაკლისგანაც არის თავისუფალი. როგორც ინგლისში იციან, რომ ყოველ პენსს გადასახადს 20 მილიონი მანეთი შემოაქვს, ისე სხვაგანაც შეიძლება იტყოდეს ადამიანმა, თუ რამდენი უნდა გადახდეს ხალხს თითო მანეთი შემოსავალზე, რომ გადასახადმა მოიტანოს იმდენი, რამდენიც ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნულია. არაპირდაპირ გადასახადის აკრეფა თუ დიდ და უსარგებლო ხარჯს მოითხოვს მთავრობისაგან, გადასახადი შემოსავალზე ადვილი ასაკრეფია, არაპირდაპირი გადასახადი თუ ზღუდავს ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლებას, გადასახადი შემოსავალზე ამ მხრივ უნაკლებულია, არაპირდაპირი გადასახადი თუ ძირს უთხრის ხალხის კეთილდღეობას, გადასახადი შემოსავალზე, როგორც სამართლიანი და ღარიბებისთვის ადვილი გადასახადელი, პირიქით, აადვილებს ხალხის ეკონომიურ განვითარებას.

ერთის სიტყვით, რა მხრივაც უნდა შეხედოთ ამ გადასახადს, იგი ვაცილებით სჯობია იმ გადასახადებს, რომლებზედაც აგებულია თანამედროვე საფინანსო სისტემა რუსეთში, და ამიტომ სასიხარულოა, რომ მთავრობას განუზრახავს მისი შემოღება და საამისო პროექტიც უკვე შეუდგენია.

მაგრამ, დაბეჭდილ პროექტის განხილვა გვიმტკიცებს, რომ ბიუროკრატის შემოქმედებითი ნიჭი საზღვარ გარეთ არსებულ ფორმებს ვერ გასცილება და ამ ფორმებში მას საუკეთესოსი არჩევაც ვერ მოუხერხებია: ეს პროექტა წააგავს პრუსიაში არსებულ გადასახადს შემოსავალზე. აქაც ორივე კლასებზე დაყოფა შეგვხვდება, რომელიც პრუსიის გადასახადის უმთავრეს ნაკლს შეადგენს. აქაც არ არის გაყოფილი შემოსავალი სხვა და სხვა ჯგუფად იმის მიხედვით, თუ რა წყაროდან არის შემოსული ხსენებული შემოსავალი. ინგლისის მოძრავი სისტემა რუსეთის ბიუროკრატისათვის, რომელიც აქაც მდიდართა ქომავლობას ვერ სტოვებს, საშიში და არა სასურველია. რუსეთის პროექტში გადასახადისაგან სრულებით განთავისუფლებულია უდიდესი მემამულე და უდიდეს შემოსავლის მქონე—მეფის სახლობა, რომელსაც, გადასახადი 5<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე თუ ავიდა, ყოველწლიურად უნდა გადახდებოდა სულ ცოტა ორი ან სამი მილიონი მანეთი მანც, რომელიც კარგ სამახსურს გაუწევდა ხალხს მის ახლანდელ ვაჭირების დროს.

ან უკეთესი რა არის მოსალოდნელი იქ, სადაც ხალხი და მთავრობა მტრულის თვლით უტკერიან ერთმანეთს, სადაც ბიუროკრატია ხალხის დაუკითხავად თავის კაბინეტებში აცხობს საფინანსო პროექტებს და სადაც იგი ამა ქვეყნის ძლიერთა გულის მოსაგებად ადვილად ივიწყებს ხალხის ყველა ძირითად საქრობას.

ანაირ პირობებში შემოღებული გადასახადი შემოსავალზე ხალხში უკმაყოფილობის მეტს ვერაფერს ვერ გამოიწვევს. მთავრობის წარმომადგენელი კომისიები შემოსავლის გამოკრევის დროს შემდეგშიაც ისევე დაიჭერენ საქმეს, როგორც აქამდის ექირათ. ქრთამი და ხათრი, მდიდარ და ძლიერ პირთა სასიამოვნოდ ათასნაირი ბოროტოქმედება, სუსტების და ღარიბების დაჩაგვრა და მეცადინეობა, რომ ახალი გადასახადი მდიდრებს გაუადვილდეს და ისევე ღარიბებს დააწვეს კისერზე, — აი ასეთი იქნება სახელმწიფო მიხედვითა მოქმედება შემდეგშიაც და ამიტომ შემოსავალზე ახალი გადასახადი მხოლოდ ახალ უკმაყოფილების მიზეზად გახდება.

შემოსავალზე გადასახადი ფეხს მოიკიდებს და ხალხისათვის სასარგებლო ნაყოფს მოიტანს მხოლოდ იქ, სადაც ხალ-

ხის უმეტესობა სახელმწიფო საქმეთა მართვასა და გამგეობას თვალყურს ადევნებს და სადაც ხალხი წარმომადგენელთა არჩევით მონაწილეობას იღებს ამ საქმეში; სადაც იგი, ამიტომ, მტრულის თვლით არ შესცქერის სახელმწიფო გადასახადს და იცის, რომ ეს გადასახადი მმართველ წრეების ჯიბეში არ წავა და თვით ხალხის საჭიროებას მოხმარდება. გადასახადი შემოსავალზე კარგ ნაყოფს მოიტანს მხოლოდ იქ, სადაც საზოგადო ცხოვრება განვითარებულია და ყოველი ადამიანი ათასწორად დამოკიდებულ-დაკავშირებულია სხვებთან, სადაც ყველაფერი საჯაროდ ხდება, სადაც საიდუმლოება პრინციპად გამხდარი არ არის და სადაც, ამიტომ, ძნელი და მოუხერხებელი ხდება თავის შემოსავლის დამალვა. საზოგადოების კონტროლი ტყუილს ადევნავს და მისწვდება და ხელს შეუწყობს სიმართლის გამომკვლავებას.

ამიტომ წინდაწინვე შეიძლება სთქვას ადამიანმა, რომ ეს ახალ გადასახადის პროექტი რუსეთის ხაზინას ახლანდელ გაკირვებულ მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანს და ვერ შესცვლის რუსეთის საფინანსო სისტემის საერთო მიმართულებას, ვერ მოაპობს ღარიბების დაზავებას და მდიდრების პრივილეგიებს.

**პროკნება ისტორიაში**

(პ. ლავროვის „ისტორიულ წერილებიდან“).

I

ისტორიული გარემოებანი, ჰაისა და ადგილ-მდებარეობის მრავალგვარი პირობები დრო-ჟამთა განმავლობაში ერთმანეთს უახლოვებენ სხვა და სხვა ჩამომავლობის მონათესავე ჯგუფებს. უმეტეს ნაწილად ეს ჯგუფები ითვისებენ ერთსა და იმავე ენას სხვა და სხვა კილოკავებით; ამით ებადებათ ცოტად თუ ბევრად ერთგვარი პსიხიური მიდრეკილება, ზნე-ჩვეულება და გადმოცემანი. ამ გვარად შექმნილი ჯგუფი, ისტორიის კანონთა ზედგავლენით, გამონაწილდება ხოლმე სხვა მის მსგავს ჯგუფთაგან და ჩნდება კულტურის და ისტორიულ ცვალებადობის ნაყოფი—ცალკე ერწყნება.

გამოცალკედა თუ არა ეროვნება, იგი, როგორც ყოველი ცოცხალი არსი, იწყებს ბრძოლას არსებობისთვის და ყოველ მის ჩამომავალს ებადება სრულიად ბუნებრივი და უბრალო მიდრეკილება: „დაიკავი შენი არსება, რამდენადაც შეგიძლია; გააფართოვე შენი გავლენა და დაიმორჩილე ყველანი, რამდენადაც შესაძლებელია; შთანთქი სხვა ეროვნებანი ფიზიკურად, პოლიტიკურად და გონებრივად, თუ კი ძალა შეგწევს.“ რამდენადაც ენერგიულია ეროვნება, იმდენად ის უკეთ ასრულებს პირველ მოთხოვნილებას: რამდენადაც ადამიანურია იგი, იმდენად ეკარგება მისთვის მნიშვნელობა უკანასკნელის მისი ისტორიული როლი განისაზღვრება მისივე უნარით, რომლითაც იგი გავლენას იძენს სხვა ეროვნებაზე და ამასთანავე ინარჩუნებს თავის საკუთარ თუ სხვების განსაკუთრებულ თვისებებს.

ეროვნება, როგორც ბუნებისა და ისტორიის განვითარების ნაყოფი, სრულიად კანონიერი მოვლენაა, მაგრამ მოჩვენებითა იდეალიზაციამ თავის საკუთარ გამოვლენაზე გადაამუშავა ეს დიადი პრინციპი.

რადგანაც, აუცილებლად, ესა თუ ის ეროვნება ამა თუ იმ ისტორიულ მომენტში რეალური წარმომადგენელი ხდებოდა კაცობრიობის პროგრესიულ მოძრაობისა, ამიტომ აქედან დაიბნადა კაცობრიობის აზროვნებით შემუშავებულ ზოგად იდეათა

იგივეობის თეორია; რასაკვირველია, ამ ზოგად იდეათა შემუშავებაში თავისი წვლილი შეაქვს სხვა და სხვა ეროვნებამ. ეროვნებათა ისტორიის უდიდესმა ხანამ ჩაიარა ერთმანეთ შორის ბრძოლასა და შთანთქმაში და აქედან წარმოიშვა ცოლ პატრიოტიზმის მოძღვრება, რომლის ძალითაც მოქალაქე ღირსებად უთვლიდა თავის თავს იმ სურვილს, რომ იმ ერს, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, შთანთქმა სხვა დანარჩენნი. მიწის გაყოფის თეორია სახელმწიფოებრივ ტერიტორიად, ეროვნებათა მიხედვით, წარმოიშვა სწორედ იმის გამო, რომ პოლიტიკურ ისტორიაში ეროვნული პრინციპი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა.

დავუკვირდეთ ამ თეორიებს.

საისტორიო თხზულებებში ხშირად შეხედვით იმ აზრს, რომ უმთავრესი მოძრაობა ძალა პროგრესისა ამა თუ იმ შემთხვევაში არის ესა თუ ის ეროვნება; რომ ის არის განსაზღვრულ იდეის მატარებელი საკაცობრიო წინმსვლელობის მოძრაობაში; რომ მის გამარჯვებასთან შეერთებულია კაცობრიობის განვითარება, პირიქით, მის დაღუპვისთანავე იხადება კაცობრიობის ხანგრძლივი შეჩერება პროგრესის გზაზე. არიან ისეთი მოაზრე-ისტორიკოსები, მათ შორის ხშირად შესანიშნავი ნიქის პატრონებიც, რომლებიც ერთდაიგივეობას ხედავენ უმთავრეს ეროვნებათა ზოგად ისტორიულ მნიშვნელობასა და ადამიანის სხვა და სხვა იდეათა თუ პსიხიურს მოვლენათა შორის. როგორი რაციონალური აზრი და მნიშვნელობა უნდა მიეცეთ ამ ისტორიულ მოვლენებს?

თუ განვიხილავთ, როგორც ისტორიულ ფაქტს, რომ ამა თუ იმ ხანაში განსაზღვრულ ეროვნების ხელმძღვანელ პირებსა და ამ ეროვნების ცხოვრებასა და ლიტერატურაში აღნიშნულ შესანიშნავ მოვლენებს ის ზოგადი ხასიათი ჰქონდათ, რომ პიროვნებანი გამსჭვალული იყვნენ ერის მთავარ იდეით და ლიტერატურა კი ამ იდეის გამოხატველი იყო; ერთის სიტყვით, თუ დავინახავთ ამა თუ იმ ეროვნების იდეაში მისი განვითარების გამასაზოგადოებელ ფორმულას, მაშინ შეგვიძლია დავეთანხმოთ ზემოდ მოყვანილ მოსაზრებასა და მიეცეთ მას არა მკირედი ისტორიული მნიშვნელობა. მართლაც, რამდენადაც განვითარებულ საზოგადოების ცივილიზაციას ყოველ ხანაში აქვს თავისი დამახასიათებელი თვისება, თავისი ხელმძღვანელი იდეა, და რამდენადაც საზოგადოებრივი ფორმები ხელს უწყობენ პიროვნების ყოველ მხრივ განვითარებას, რამდენადაც მეტია მისი ცივილიზაციის ერთობლივობა, იმდენად უფრო უნაკლებოდ ზ განსაზღვრულად გამოხატავს ეს ცივილიზაცია თავის იდეას. ცხადია, ამა თუ იმ ეროვნების ცივილიზაციას გავლენა აქვს, — როგორც იდეალურ ცენტრს, სხვა თანამედროვე ეროვნებაზე ზ მის მიმყოლ კაცობრიობის განვითარებაზე. ეს გავლენა იმდენად პროგრესიულია, რამდენადაც ამა თუ იმ ეროვნების ხელმძღვანელი იდეა ხელს უწყობს პიროვნების განვითარებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლიანობის შეტანას. რამდენადაც ეს უკანასკნელი პირობა შესრულებულია, იმდენადვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესა თუ ის ეროვნება ამა თუ იმ ხანაში არის პროგრესიული წარმომადგენელი და რომ მის ისტორიულ სვე-ბედთან შეკავშირებულია კაცობრიობის წინმსვლელობა ან მისი შეჩერება განვითარების გზაზე

მაგრამ, ჩვეულებრივ, რაღაც სხვა უფრო დიდი რამ მიჩნიათ ეროვნულ იდეად. ფიქრობენ, რომ ეს იდეა კი არ განისაზღვრება რომელიმე ეპოქით, არამედ იგი იკავშირებს ეროვნულ ცხოვრების ყოველ ხანას, რომ იგი აზოგადდებს ამა

თუ იმ ეროვნების მთელ ისტორიას. ამის მსგავსი ფაქტი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საზნაირად:

ან განსაზღვრულ წყობილების ცივილიზაცია იმდენად შეესისხლბორცა ერს, რომ გადაიქცა მის კულტურად, ანტროპოლოგიურ ნიშანდობლივ თვისებად, ასე რომ პიროვნებათა აზრს ან აღარ შეუძლია მოიგონოს რაიმე გაუმჯობესება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ან არსებული საზოგადოებრივი ფორმები ხმავს მას აღმოცენებისათნავე. ჩამოშავლობა ჩამომავლობას მოყვება, მაგრამ ცხოვრების ფორმები და ხელმძღვანელი იდეები ერთი და იგივე რჩება. სხვა ნაირად რომ ვთქვათ: ჩერდება ყოველივე მოძრაობა და საზოგადოების ისტორია იქცევა მხოლოდ ზოოლოგიურ მოვლენად. აქ ლაზარაკი მეთა ცივილიზაციურ პროგრესიულ მნიშვნელობაზე, რომელიც ამ გვარად ემსახურება იდგის განხორციელებაში. იმ ეროვნებას, რომელიც ამ ზომ მდე მისულა, აღარაერთარ გავლენა აღარა აქვს კაცობრიობის განვითარებაზე. მისი გამარჯვება არც არავის სწავდა, მისი დამარცხება არც არავის ენანება. ასეთ ერს მოვლის ისტორიული სიკვდილი, თუ მის წიაღში არ გაიღვიძა და სამოქმედოდ არ გამოვიდა ცოცხალი ელემენტები.

ან იდეა, რომლითაც ხელმძღვანელობს რომელიმე ეროვნება, უნდა ჩავთვალოთ თანდაყოლად თვისებად ყველა ამ ეროვნების პირთათვის, მის ანტროპოლოგიურ ელემენტად, მისი ტენის კუთვნილებად, რომელზედაც დამოკიდებულია შთამომავლობის განვითარება, როგორც ცხოვრების ფორმათა და კულტურის ცვალებადობაშიც უნდა ვითარდებოდეს იგი. ამ შემთხვევაში ეროვნება უნდა განვიხილოთ, როგორც სახეობითი სხვაობა აღამიანთა ტომისა. მაშასადამე, ეროვნული იდეა არსებობს მხოლოდ ეროვნებაში. თანამემამულეთა გარეშე იგი წარმოუდგენელია.

მაგრამ სად არის ასეთი ისტორიული ეროვნება? თანამედროვე ევროპაში მხოლოდ გერმანელებს შეუძლიათ დაიჩემონ ერთ-ტომობა. სხვა დანარჩენ ერთა შორის ტომებრივი შერევა ისტორიული ფაქტია. მაგრამ თვით გერმანელთა შორისაც ადვილი ამოსაჩენია ტომებრივი შერევის მინუშები. ძველი რომაელები სწორედ რომ ნარევი ეროვნებას წარმოადგენდნენ. ცნობილი მეცნიერები ამასვე ფიქრობენ საბერძნეთზე. სპარსეთის ცივილიზაცია წარმოადგენდა მიღო-სპარსთა ცივილიზაციას. ამავე უძველეს ხანებს ნულარ მიემართავთ, რადგანაც მეცნიერებს იქ აღარაფერი აქვს ამხრით ხელმოსაქიდი. თუ არც ერთ ისტორიულ ეროვნებას არ შეუძლია დაიჩემოს შთამომავლობითი ერთობლივობა, მაშინ ეროვნულ იდგის ასეთ განმარტებასაც ადგილი არა აქვს.

ბოლოს, შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება: ერთის ან სხვა და სხვა ტომის პიროვნებანი ჰავის, ნიადაგის და ეკონომიურ-კულტურულ პირობათა ზედ-გავლენით ივითარებენ ზოგიერთ ზოგად პსიხიურ მიდრეკილებებს; აი, ეს პსიხიური მიდრეკილებანი შეადგენენ სწორედ ეროვნების დამახასიათებელ თვისებებს. არ არსებობს ეს თვისებები, არ არსებობს თვით ერიც. ამ მიდრეკილებათა განსაკუთრებულ თვისებათა ჩამოყალიბება შეიძლება ერთ იდეად, რომელიც წითელი ძაფით იქმნება ხოლმე გატარებული მთელი ერის ცხოვრებაში. იმის დავარად, თუ როგორი გავლენა აქვს ამ ეროვნებას კაცობრიობის ისტორიაზე, შედის ამ უკანასკნელში თვით ეროვნული იდეაც. გამარჯვება ან დამარცხება ამ ეროვნებისა იწვევს ამავე იდგის ამაღლებას ან დასუსტებას. პირველი დებულება ამ მოსაზრებისა შეგვიძლია მივიღოთ. დღეს

ზოგიერთ მოაზრებებში მიზნად დაისახეს ხალხთა პსიხოლოგიურ მოვლენების გამოკვლევა. მაგრამ კითხვა იმაშია, შეგვიძლია თუ არა აღვიაროთ ეროვნულ მიდრეკილებაში რაიმე პროგრესიული მოვლენა და ეს მოვლენა ვიცნოთ ამ მიდრეკილების შემადგენელ ელემენტად.

დ. ჭოღველია.

მ ა რ კ ა მ ს ს ა მ მ

მარკოს საქმე—ეს ძველი და იმავე დროს მუდამ ახალი საკითხი—საბოლოო გადაწყვეტას უახლოვდება. ეს საკითხი იყო, რომ ევროპის დღევანდელ ცხოვრების მიმდინარეობას კინაღამ მშვიდობიანი კალაპოტი დაუნგრია და მთელი დასავლეთი ევროპა საერთაშორისო ომის საშინელ ტალღებში გადასტყორცნა. ეს საკითხია, რომ დღეს მთელ განათლებულ კაცობრიობის ყურადღებას იქცევს და პოლიტიკურ ბაასის დაუშრეტელ საკანს წარმოადგენს. მე მგონია, რომ არ იქნება მნიშვნელობას მოკლებული ქართველი მკითხველი საზოგადოებისთვის საქმის გაცნობა; როგორ ვითარდებოდა ისტორიულად „მარკოს საქმე“.

მარკო მაჰმადიანთა ქვეყანაა, რომელსაც აფრიკის ჩრდილო ნაწილი უჭირავს. ტერიტორიით იგი დაახლოვებით გერმანიის სივრცისაა, ხოლო მკვიდრთა რაოდენობა ბევრად ჩამოუვარდება აქ უკანასკნელისას; მარკოს მკვიდრთა რაოდენობა განისაზღვრება დაახლოვებით მხოლოდ ხუთი მილიონით. ნიადაგი ამ ქვეყნის ნაყოფიერია დი სხვა და სხვა მადნეულობით მდიდარი. ერთის სიტყვით, მარკო გემრიელ ლუქმას წარმოადგენს, რომელსაც შეუძლებელია ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა გულგრილად უყურონ. ეს გულგრილობა მით უფრო შეუძლებელია, რომ მარკო მილიტარულად ძლიერ სახელმწიფოს არ წარმოადგენს. სათავეში მას უდგას „თვითმპყრობელი“ 28 წლის სულთან მულაი აბდ-ელ-აზისი, მაგრამ ნამდვილად კი მისი უფლება ძლიერ შემოფარგლულია, რადგანაც მკვიდრთა უმეტეს ნაწილს სულთანის ავტორიტეტი არ სწამს.

გერგრაფიული მდგომარეობა კიდევ უფრო აორკეცებს მარკოს მიმზიდველობას. იგი სდგას ხმელთა შუა ზღვის შესასვლელში და აღმოსავლეთ ნაპირებზე მშვენიერი მოხერხებული ნავთ-სადგურები აქვს, რომელნიც ფლოტისთვის საუკეთესო სადგურებს წარმოადგენენ. ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები ძალიან დაინტერესებული არიან მარკოს მომავლით, რადგანაც ძალიან ადვილი მოსალოდნელია შესაძლებელ საზღვაო ომის ასპარეზობა ატლანტისკის ოკეანემ გასწიოს. ეკონომიურად მნიშვნელოვანია მარკო გერმანიის კაპიტალისტებისთვის: მასი ბუნების ძალები, მინერალური სიმდიდრე, ნიადაგის ნაყოფიერება და სახელმწიფო ფინანსები გერმანელ კაპიტალისტებისთვის კარგ საექსპლუატაციო მასალას წარმოადგენენ.

ამ გვარად მარკო ყოველმხრივ გემრიელ ლუქმას წარმოადგენს და იმავე დროს იგი სუსტი ქვეყანაა. ამის შემდეგ არ გასაკვირია, რომ ევროპის თითქმის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი სახელმწიფო გაფაციცებით ხელს იწვედა ამ ქვეყნისკენ. მაგრამ ვის დარჩება იგი? ვის უფრო მეტი უფლება აქვს მარკოს ბედის გადაწყვეტაში? დღეს, კაპიტალისტურ წესწყობილების ხანაში, უფლება ძლიერს ეკუთვნის და ამიტომ, რომელიც უფრო ძლიერია ევროპის დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის, მარკოც მას დარჩება.

მაგრამ, საქმე ის არის, რომ ერთმალე ევროპის პრინციპი ევროპაში თუმცა შერყეულია, იგი—ჯერ-ჯერობით მინც არ-

სებობის, ყველა მაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის არც ერთს არ შეუძლია სთქვას: „მე უფრო ძლიერი ვარ“. აქედან გამომდინარეობს საერთა შორისო კონფერანციათა აუცილებლობა. მაგრამ, არც კონფერენციას შეუძლია მივიღეს რაიმე საბოლოო გადაწყვეტილებაზე, თუ მას ხელში არა აქვს დაინტერესებულ სახელმწიფოთაგან წარმოდგენილი მათი ასეთი თუ ისეთი უფლებები სადავო საგანზე. რასაკვირველია თითოეული სახელმწიფო თავისებურ საფუძველზე ამყარებს თავის „უფლებებს“. განვიხილოთ ეს უფლებები.

დავიწყეთ საფრანგეთიდან. ალჟირი, როგორც ვიცით, საფრანგეთის საზღვრებში ირიცხება და იმავე დროს იგი მაროკოს ახლობელი მეზობელია. თუ მაროკოში მყუდროება არ სუფევს, თუ მისი ცხოვრება ანარქიას წარმოადგენს, ეს რა თქმა უნდა, რაიმე გავლენას იქონიებს ალჟირზე და ამ გვარად საფრანგეთის ინტერესები შეილახება. ამ აზრით ეს მეზობლობა ასე თუ ისე „უფლებას“ აძლევს საფრანგეთს მაროკოს ბედზე იზრუნოს. ამას გარდა თვით საფრანგეთის გეოგრაფიული მდებარეობაც აძლევს ამის „უფლებას“ საფრანგეთის მთავრობას: შესაძლებელია ხმელთაშუა ზღვიდან საფრანგეთს მტერი თავს დაეცეს და ასეთ შემთხვევისათვის მას დასაქირადება ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფლოტის დაუწყონებლივ შეერთება. რაც შეეხება ესპანიას, ლიტი ხანია, რაც მას ტერიტორიული უფლებები აქვს მაროკოში. ინგლისი კიდევ თავის გიბრალტარით, მალტით და ეგვიპტეთი ხმელთაშუა ზღვაში პირველ ხარისხიან ძალას წარმოადგენს.

მაგრამ გერმანია? გერმანიას რაღა ინტერესები აქვს დასეცველი? ღირებულობა საქონლისა, რომელიც ევროპიდან მაროკოში შეაქვთ, განისაზღვრება მან მილიონით, რომელიც გამოაქვთ—25 მილიონით. ყველაზე უფრო მეტი წილი აქ საფრანგეთს და ესპანიას აქვთ. გერმანიის წილი კი მხოლოდ ექვსი მილიონია. ასე იყო ამ 25 წლის წინად, ასევეა თითქმის დღესაც. ამ გვარად გერმანიას არავითარი პატივისაღები უფლება არ ჰქონდა მაროკოში, რომლის დასაცველადაც იგი უნდა გამოსულიყო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო მაროკოს შესახებ მადრიდში გამართულ პირველ კონფერენციაში. თვით ბისმარკი იძულებული იყო აღეარებინა ის ფაქტი, რომ გერმანიას არავითარი ინტერესი არ აქვს მაროკოში დასაცველი; მაგრამ თუ იგი მინც მონაწილეობას იღებდა ოთხმოციან წლების კონფერენციაში, ეს მხოლოდ იმ განზრახვით, რომ საფრანგეთი საახალშენო ომში ჩართოდა და ამ გვარად ეს თავის მუდმივი მტერი შეესუსტებია. მაშინ თუ თვით ბისმარკი ლაპარაკობდა, რომ გერმანიას არავითარი ინტერესი არ აქვს, როგორც ხმელთა შუა ზღვაში, აგრეთვე მაროკოშიაცო, დღეს სულ სხვას ვხედავთ. აგერ ერთი წელიწადია, თითქმის მთელი გერმანიის პრესა გამუდმებით იმ ინტერესებზე ლაპარაკობს, რომელიც ვითომ გერმანიას აქვს მაროკოში. რა მოხდა, როგორი ცვლილება შეიტანა გერმანიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ ოცდა ხუთმა წელმა, რომელმაც მადრიდის კონფერენციის შემდეგ განვლო?

სრულებით არაფერი იმ მხრივ, რომელსაც ჩვენ ვეხებით, გარდა იმისა, რომ დღეს გერმანიის პოლიტიკის მმართველობის მარკის მაგიერ ბიულგოვია და მხოლოდ ეს უმნიშვნელო ცვლილებაა ის მიზეზი, რომელმაც მაროკოს საკითხი არ გააძწავა. გერმანიას მაროკოში მხოლოდ დიპლომატიური ინტერესები აქვს, რომლებიც 1880 წლიდან მომდინარეობს. ამ წელს ადრიდის კონფერენციამ თანხმობა შეიტანა მაროკოსა და

ევროპის დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის. მაგრამ ისეთ საზოგადოებრივ წესწყობილებაში, რომელიც ექნა გამეფებული, სადაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება ელვის სისწრაფით მიდის წინ, ოცდა ხუთი წელი ბევრ რამეს ნიშნავს. ამ დროს ბევრი რამ ცვლილება უნდა მოეხდინა საერთაშორისო დამოკიდებულებასა და განწყობილებაში. ეს ასეც მოხდა. მაროკოს მთავრობა უფრო და უფრო სუსტდებოდა, რასაც აუცილებელ შედეგად მაროკო-ალჟირის საზღვრების შესუსტება მოჰყვა. ესპანია ძლიერ სახელმწიფოთა სიდიდან ამოიშალა მაშინ, როდესაც საფრანგეთის ძალები ხმელთა შუა ზღვაში უფრო და უფრო იშლებოდა და ფართოდებოდა. საფრანგეთი შეიქმნა უძლიერესი სახელმწიფო ხმელთა შუა ზღვაში, რომელსაც მხოლოდ ინგლისი თუ გაუბედავს მეტოქეობას. ასე აცვლებოდა ევროპის სახელმწიფოთა ძალები, როდესაც გერმანია მალულის სიამოვნებით უტკბოდა იმ უფსკრულს, რომელიც ხმელთა შუა ზღვაში საფრანგეთის და ინგლისის ინტერესთა შორის ითხრებოდა. უეცრად ამ უკანასკნელ ხანებში გერმანიის პოლიტიკა სრულიად სხვა კალაპოტში ჩაღდა და სრულიად სხვა მიმართულება მიიღო. მისი სახელმწიფო-ევროპული პოლიტიკა უეცროდ საზღვაო და საერთაშორისო პოლიტიკად გარდაქმნა. შედეგი ყველა ამისა იყო ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობათა ძირიანად შეცვლა: გერმანიასა და ინგლისს შორის მტრობა ჩამოვარდა; საფრანგეთი თანდათან ვითარდებოდა და ელზასლოტარინგზე ფიქტი მას მოსვენებას არ აძლევდა. ინგლისის და საფრანგეთის შეთანხმება აუცილებელი შეიქმნა. ამ გვარად, ერთი, მხრივ იღვა გერმანია, რომელსაც მისი მოკავშირე ავსტრია და იტალია სხვა და სხვა მოსაზრებებით ევრაფიურ სამსახურს და დახმარებას ვერ უწყევდნენ, და მეორეს მხრივ—რუსეთთან შეკავშირებული საფრანგეთი და ამ უკანასკნელთან ინგლისი. გერმანია არა სასურველ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ მალე მას რუსეთის გაქირვებამ მოუსწრო და მაროკოს შე'ახებ თავი მალდა ააღებინა.

იმ ხელშეკრულებაში, რომელიც 1904 წელს საფრანგეთმა და ინგლისმა შეკრეს გერმანიის შორის, მაროკოს შესახებ ნათქვამია შემდეგი: „საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ მას აზრად არა აქვს მაროკოში გაეფუძებულ პოლიტიკურ წესწყობილების შეცვლა. ინგლისის მთავრობაც თავის მხრით აღიარებს, რომ ყველაზე მეტი უფლება მაროკოს მშვიდობიანობაზე ზრუნვისა ეკუთვნის საფრანგეთს, როგორც სახელმწიფოს, რომელიც მაროკოს მახლობელი მეზობელია, რომ მას ყველაზე მეტი უფლება აქვს დახმარება გაუწიოს ყველა იმ აღმინისტრაციულ, ეკონომიურ ფინანსიურ და მილიტარულ რეფორმების განხორციელებას, რომლებიც აუცილებლად საჭიროა ამ ქვეყნისათვის. ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ იგი არავითარ წინააღმდეგობა' არ გაუწევს აღნიშნულ ნიადაგზე საფრანგეთის მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი არ წავა ყველა იმ შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, რომელნიც ინგლისს აქვს მაროკოს შესახებ მოკავებული“.

იმავე შეთანხმების პირობაში მოხსენებულია აგრეთვე, რომ ევროპის სახელმწიფოებს ენიჭებათ მაროკოში ვაქრობის თავისუფლება, რომ ჩრდილო ნაპირების გაშავება აკრძალულია; საფრანგეთსა და ინგლისს სწამთ აგრეთვე ესპანიის უფლებები მაროკოში და ორივე სახელმწიფო ვალდებული-დიპლომატიური დახმარება გაუწიონ ერთმანეთს ამ შეთანხმება ბის მიუხედავად სისრულეში მოყვანისათვის. და ასე, რამდენისამ

თვის შემდეგ საფრანგეთი შეუთანხმდა ესპანიას, როგორც მარკოს საქმეებში დაინტერესებულ სახელმწიფოს, ხოლო სხვა სახელმწიფოებს იქ არავითარი ინტერესი არ ჰქონდათ, გარდა ვაჭრობის ინტერესებისა, და ეს უკანასკნელი კი მთელი ოცდა ათი წლით უზრუნველყო ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებამ. პროტესტის ხმა არსიდან არ ისმოდა. ამგვარად, მარკოში რეფორმების შემოღებას არავითარი დაბრკოლება არ უღდა წინ და საფრანგეთიც შეუღდა ამ საქმეს.

1905 წელს, აპრილის უკანასკნელ რიცხვებში, საფრანგეთის წარმომადგენელმა ფეცში მარკოს სამინისტროს სასურველ რეფორმების პროექტი წარმოუდგინა. ამ პროექტში ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილი ისეთ რეფორმებს ჰქონდა დათმობილი, რომელნიც ამ ქვეყნის მშვიდობიანობის უზრუნველ ყოფას ეხებოდა; ასეთია, სხვათა, შორის ცვლილება ჯარის რეორგანიზაციისა და ფინანსების შესახებ. მაგრამ გერმანია უეტრად ყალბე დაღდა და წინააღმდეგობა გამოაცხადა. ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულება 27 მარტს, ესე იგი მის დამტკიცებამდე 14 დღით ადრე, წარუდგინეს გერმანიას. 12 და 14 მარტს ბიულოვი ამბობდა რეისტაგში, რომ ეს ხელშეკრულება მას არავითარ საფუძველს არ აძლევს იფიქროს, რომ გერმანიის ინტერესები შელახული იქნება მარკოში, მაგრამ წლის ბოლოს ეს აზრი მან,—ალბად გერმანულ შოვინისტების ზედგავლენით,—შეიცვალა და გერმანიის წარმომადგენლებს მარკოში ბრძანება მისცა, რომ ყოველივე ძალღონე ეხმარათ საფრანგეთის რეფორმების პლანების განხორციელების წინააღმდეგ. მარტის ბოლოში ხმა გაერცვლდა, რომ ვილჰელმი ტანერში გამგზავრებას აპირებსო, და, მართლაც, 31 მარტს ვილჰელმი და სულთან იერთმანეთს შეხვედნენ. 27 მაისს სულთანმა უარი განაცხადა საფრანგეთის წარმომადგენელ რეფორმებზე,—იგი გათამამებული იყო ვილჰელმის შეპირებით.

ამგვარად მდგომარეობა გამწვავდა. დღე-დღეზე მოელოდნენ ომის ატეხას. გერმანიის პოლიტიკა სწორედ ომის გამო-საწვევად იყო მიმართული. 30 მაისს უეტრად რეისტაგის სესიაც დახურეს და კანცლერი ბიულოვი გააძიქტატორეს, მაგრამ საფრანგეთმა დაგვიტკიცა, რომ ომი მას სრულიად არ სწყურია. საფრანგეთმა გერმანიის პროვოკაციას გვერდი აუხვია,—საგარეო საქმეთა მინისტრი დელკასესი სამინისტრო, რომელიც ომის პოლიტიკას ადგა, აიძულა გადა-მდგარიყო. დელკასეს დამარცხება იმავე დროს გერმანიის პოლიტიკის დამარცხებაც იყო, გერმანიის მთავრობა იძუ-ლებული გახდა თავის მისწრაფებისთვის ფარდა გადაეფარება. 24 ივნისს თავადმა ბიულოვმა რუვიერის ნოტის პასუხად საფრანგეთის წარმომადგენელს ბერლინში მისწერა: „მის შემდეგ, რაც იმპერატორი დახმარების აღმოჩენას შეჰპირდა სულთანს, მას არ შეუძლია ლეიტსანაბარა დასტოვოს იგი, მაგრამ მომავალი ეკუთვნის მას, ვისაც მოთმენა შეუძლია. სულთანის დამოუკიდებლობა გამოცხადებული უნდა იყოს და მარკოს წესწყობილების ორგანიზაცია სხვა და სხვა მთავრობათა შეთანხმებით უნდა იქმნეს შექმნილი. თუ ეს ცდა სასურველ ბოლომდის არ მივიდა, რაც ძალიან მოსალოდნელია, საფრანგეთი დაადგება იმ გზას, რომელიც მას სურს“. ამ გვარად აქ ბიულოვი თვითონ აცხადებს, რომ იმპერატორის შეპირება ის მიზეზი, რომელიც აუცილებლად თხოულობს მთავრობათა შეთანხმებით მარკოს საქმის მოგვარებას, ე. ი. კონფერენციას.

ამაღ ეს კონფერენცია უკვე გამართულია ქ. ალტი-ის წინააღმდეგ სისწორით გათვალისწინება

შეუძლებელია,—ამას ნამდვილად ახლო მომავალი დაგვანახებებს. დღეს დღე-ღობით კი ამის თქმა შეიძლება, რომ ამ კონფერენციით გერმანიის სურს თავის პოლიტიკის აგრესიულ ხასიათის დაფარვა.

ლევოიგი.

დ. უ—ძე.

უძმოს—ძმა

(ფშაველბის ცხოვრებიდან).

I

ტანით სწორედ მუხის ჭირვესა ჰკავდა, ჩასხმული, ჩაკრული. წვივები ისეთი სქელი ჰქონდა, რომ ჩვეულებრივად ადამიანის თითში სხვა გამოიჭებოდა. ამიტომ ჩაღსო თავის თავს, როგორც უძმოს—ძმას, ისე წვივ-ტაცანს ეძახდა, და განა მარტო თავად? არა,—სხვანინ ამასვე ამტკიცებდნენ. „აბა, დამკვლიე, ძოძილო, რა რიგ წვივ-ტაცანი ვარ“—ო, იტყოდა ხშირად ჩაღსო თავის ტელ-ამხანაგებში. ტაცანს ფშაველები რძის საწვეულ, ზატარა კოდს უძახანან და ჩაღსომაც თავის წვივები ტაცანს დაამსკავს. სიარულის დროს ისე მზგრა ადგამდა ფეხებს, რომ სმელს დედამისან იმისი კვალი, როგორც ბეჭედი ქაღალდს, ისე ცხდად ზედა მნდებოდა. სამართ-საფხულ გულ-გაღელი დადოდა. ახალუხისას სარტყელს ზევით ორს ან სხვის დიდს თუ შეიკრავდა. ამის გამო იყო, რომ განაგრად ამოჭრიდა მდიდის ზურანკადან, როგორც კაღის ნუჭრები, ხშირის ბაღნით დაფარული მისხანდა მისი გაუტყუელი გულ-შეკრად.

მარცხენა კერძზე, მხარ-იღლით თანამებზე დაკიდებული ჰქონდა სქელი, დაშობული, ტარეღის შიარახი. წითელს, დაქაჯა სხვის ცისფერი მოცინარი თვალები უმშვენიერდა; ზევადან ამ თვალებს, როგორც ჩარდახი, კადმობურთებდა სქელი, შავი წარბები. მთელი მისი სხეულის აკებულება და სხვის შეტრეველებს მოწმობდა, რომ ჩაღსო შეურცხეოფას ადვილად არავის ახატებდა. მაინც უუღას უძინოდა ჩაღსოს მუშტისა; ვისაც იმისი ტარეღი მუშტი მოჰხვედრდა, უუღას იძახოდა: „ჩქვა დამკრა მკ ოჯახ-დაქეუღამა, ნამდვილად ჰქვა დამკრა“.

მაგრამ ჩაღსო, ეს უძმოს—ძმა, ხირად თავის შეურაცხეოფელთ ხომ არ ეჩხუბებოდა,—ეს ძაღან იშვითად მომხდარა,—არა უძმოს.ძმა სხვის გულისთვის ჩხუბობდა, სხვას ეშველებოდა; როცა კი დაისახავდა, რომ ერთს ორი ან სამი სცემდა, იგი მოსევკებას ჰკარგავდა, და, როგორც თითონ იტყოდა, მამის რეკლებზე იჯდა. არ მოუთმენდა გული და ხირადხირ გადაირეოდა. დაჩატრეღის ნაწინობა მისთვის როდი იყო საჭირო. საკმარისი იყო დაჩატრეღი ვინმე ენას უსამართლოდ, ძალ-შეტობით, კაც მრავლობით, რომ ჩაღსოს თავი გადაეღო სასიკვდილოდ. „რას სხადოთ ეი: ეჭვი? არ იცითა, რა აქა ვარ უძმოს—ძმა?!“ დაიბუხუნებდა, როგორც ვეფხვი, და ცადიჭრებოდა მისაშველებლად თავის ტრეღის მთრახით და ვაი იმს, ვისაც ჩაღსოს მოქეუელი მუშტი ან მათრახი მოჰხვედებოდა! მისი ფეხზე დადგომას შეუძლებელი იყო. ბეგრის ამისთვის ჰქმობდენ და ამობდენ: რუკეთრას, უჭკუოა, ბეჩაფა, ეჩრება, სცა: არავინ რასა ჰქითხვს, ძაღად ტირსა და ხათაღას იცვამს თავსეუა“.

უძმოს—ძმა ბევრ საქმეს უჩენდა ჩაღსოს და მრავალს უსამოფენასც. ხატობებს, ქორწილებს ის არ დააკვლებოდა და, როგორც მოკესხენებოდა, ამასთანავე ქეოფის დროს ხდება უოფელ-გვარი უსამოფენება. თავად ჩაღსოსაც ჩხუბის დროს, რა თქმა უნდა, ბეგრის ჰხვდებოდა მუშტი, ჯოხი, თუ სანეღუელი, რის გამოც თავი სულ გადაკარტინილი ჰქონდა, თითქმის ქათმებს ან ანდაურებს ზურის ცხმი უქენათო. ტრეღობაზე არავითარს წამალს არ მოიკრებდა, რაც უნდა ბევრი ჰხვეწიყოფათ, სისხლს, ხირადან

თუ თავიდან ჩამოხადენს, მთელ ორსამ დღეს არ მოიხანდა. ბიჭს ჩამოხრება უნდა ეტოვებოდა. ამბობდა.

გათავადობდა თუ არა ჩსუბი, დასწვდა რა უძმოს-ძმა უსამართლობის ჩამდენთ, მაჰმარადევი სათამაშო მოედანს, სდაც ქალები გარმანს ატყუებდნენ, ან ისმობდა სტვირისა დადი, ბიხს ხასხე დაძახილი: ხალარა რაღა, დარტიალდი, დარტიალდი, ტიტლი-ტიტილი, ხალა, ტიტლი ხალა!...

უძმოს-ძმა თამაშობის დროს სხამ სანახვი იყო: ზოლ-ზოლად ჩამოხადენი სისხლი ვერ არ მიჰხმობდა სორცის კანსე, თვლებს-სახე-გარწინებელი დაიხსებდა: „ტოშა ქალებო ტოშო, უძმოს-ძმა თამაშობს, დაუკარიო! ფიგნო, ფიგნო!“ დაიწყოდა რა თამაშობას, მიწა იხეროდა, ფეხებს ისე შავრა სტვიმად დაბდა, რომ მის ნაფეხურზე ბალახი ადარ ამოვიდოდა მის დეშვი; როგორც ურო, მიკუშული მუშტა, ვიდრე თამაშობას გათავებდა, სულ მადლი გჭირს ამკირილი და ატრიალებდა წადმ-უკუღმა.

ასე, რამდენად ხანი გადიოდა, ჩაღხის წვივ-ტავანობა შეიერთა, შთანთქა უძმოს ძმობის სხელ-წოდებამ: დღეს უკლა ჩაღხის უძმოს-ძმის კისდა. ჩაღხის მტობა ტოლ-ამხნაგებთან დიდ ხანს არ გასტანდა: ოდინდ ერთი სიტუკა ვისმე კი წამოურანტა-ღა შერიგებაზე, ის უკვე მზად იყო. ბევრ შემთხვევაში შუა გზა: რც კი იყო საჭირო: უძმოს-ძმა იქვე დეშობაში, იმავე, ან მეორე დღეს შეურიგებოდა. თავადვე მივიდოდა თავის შეურანტა-ფელის ბანაზე, დადებოდა თავზე და ეტყოდა: „არ შეიბრძნით, ძმაო, სულ ხომ არ ვჩხუბებთ? ადვი, მამ მკონე, ადვი ჩქარა!“ მოზარდადარეს რაღა უთქიოდა, — ადგებოდა და ერთმანეთს ტა-ჭკონდინენ. ხელდახელ მიჰკიდობანობა ჩამოვარდებოდა. ცოტა ხანს შეიდეტ ჩაღხის სიმღერად გაისმოდა, მისივე „მტრების“ მოხანებათ:

ხანდახან შასმა ღვანთს,  
ხან და ხან შამღერებთა.  
ხან ომა უნდა ძღვირთ,  
ხან და ხან შასვენებთ.

ან ამ სიმღერას იტყოდა:

უმა უმღერადი არ ვარცა,  
ვაქვცი უხელებეღა,  
ვაქვცს უხელებელსა  
ქალი სჯობს უხსენებელი.

ჩაღხი იცოდა მხოლოდ სხაღხის სამღერები, რადგან წირაკთხვისა არაფერი გაეგებოდა, და თითო-თითად ადგილი „ვოფხვის ტრანსინდინ“ გატონებით და წაუღილი ჰქონდა. უძმოს ძმა ღაღაზადარა როდი იყო, მაგრამ ქიფის დროს მღერა ძაღვან უუარდა. უუარდა და მღეროდა საკმარო ღექებს. ადრთოფანებით და გატრებით მღეროდა იმ სიმღერებს, სდაც იყო დასურათული ქველობა, ვაქვცობა, ტრეების დახსნა ტრეობადან „ტრე-გარქენა“ ბიჭის მიერ.

„ვაქვცის ზურადზე გულადი  
სამის გაფრებით მტრია.“

თავად სულთ და გულთ სწუროდა, დაქმს-განსებოდა იმ „ტრე-გარქენა“ ტრეობა მისწულს ბიჭებს, იმათებრ სახელგანთი „ფიფილიყო.“

II

რამდენი უბედურება შეამთხვა ჩაღხის უძმოს-ძმობამ და რამდენჯერ ატრია დაღა ცხარე ცრემლით, მაგრამ გულს მანც და მანც არ იღებდა, ვიდრე მიხელი მისდევდა და მკაფიო უჭოდა, ერთხელ ცაბურთობას ფეხზე კი მოიტყეს, რამდენიმე ჯიღამა

აუტეხეს ჩსუბი ერთს ჩობანს, რომელსაც ცხერის ნათვრა თხილი მოეგნა ხატო და ერთად მოავრ-ანგელოზისთვის ასახელებული ჰქვლიდა. მოუშარეს: აქ ქალებმა დაძვრება, თავადიერება, ცუდი განზრახვა გაქვსო და სხვა ამისთანები მოუდევს შარად. სწული წაქციეს და ერთმა მოტანმა უელში ჰირებს დაუწყო. ჩაღხი ამ დროს სიმღერაში და არაუას სმაში იყო გართული, დაინახა რა ეს სერათი, გაქენა მისაშველებლად. მისქიდა ხელი გამარჯვებულს ფიველს, გასქობინა ხელი, ასწია და გასწორა წელიში. აქ ვერა მხედვა, ვინა ვარ, ძმობილო, რა იონა ჰქვით ამ სწულს გცხე, მე დამკართი აბა, თუ კი ბიჭები ხართ. აქ არი უძმოს-ძმაო. სთქვა რა ეს, თან მიუყოლას მთრახინც. იგი წაიქვა. ორმა წაქველდის ამხანაგმა ჩაღხის დაუშინეს, მაგრამ ვერ შედრაკეს, ჩაღხი დირეკა ისინი მთრახინთ, რამდენსაც დაჭკრადა, ამდენჯერ თან დაუკლებდა: „უმაგან დაკვრავთ უღარტაული ფურის ბიხნაღა, უძმოს-ძმას რა ეძახანო.“ გვარდობა ადგილი იყო, მთელი ხაღხი — კაცი და ქალი — იქ მოაწვა, ჩაღხის როგორად ფეხი დაუნსტა და იქვე წარაფს კლდეზე გადაეხა. შექმნეს ქალებმა წივილი-კივილი: „ვაჭე, დაიღუბა გცო, მოკვდა კაციო!“ მხოლოდ ეს ისმობდა.

— არ მოველო, არა! ცოცხალი ვარ და დეებებს ვუტირებ ვეელას, ვინც ბეჩავს კაცს იხილბობტებს, — მოისმა კლდის ძირიდან ჩაღხის მკვხერი ხმა.

ჩაღხიდა ხაღხი, გამიხნდენ დოსტაქრები და დაუწეს ხევა ჩაღხის ფეხს, ატრახებთ შეუერეს, თუცა ჩაღხი წერებოდა, ჯავრობდა; არაფერი მიშე, ჩემთვან არტახეი საჭირო არ რისო. ასლამ იმზე გაწერა, როგორ თუ ხელის კიდებით უნდა წამოუყნითთ. ჩაღხი რა მიჰყენდით, თავისას მანც არ იშლიდა და უთვლიდა მუქარას თავის მოზარდადარეთ: „გადევეც მოვა საფხული, დროშინი აემიანო? დიციო, დედას გიტრებო, უღარტაულ ფურის გაზღილიო“ ჩაღხი შინამღე ხაღხის უნდოდა სკაციო მიეტრახით, მაგრამ ამზე ვერ დაითანხმეს, თუცა ბევრს ეცდნენ, და რომ ვერაფერს გახდნენ, შესვეს ცხენზე და ისე მოთუვნეს მის სხაღმა.

— აბა, რაღა მუშველებს, შე დედა მამკვლარო, რაზე დამღუბე და დამქციე? რაზე შემამიგლე წაუღა? რაზე გამამქერ უეღა? რა გარტო ქვეყანამ და უძმოს-ძმობამ, შე ბეჩავო? შინის ეღლით აღარა ვარ, არ არი ჩემთვის მოსვენება არც დღე, არც ღამე, არა ტყამ დღერთი ან ხატო, რაზე მადონებ, ბიჭო? უთხრა ჩაღხის დეამ, როცა ჩაღხი ჩამოხანდინეს ცხენიდან.

ჩაღხი ხმას არ იღებდა, დაინჯად იჯდა დერეფანში, ტახტად ტადებულს, ცულოთ გათლილს ფინარზე.

რა განხივლებს და გატრებს, შე სწულიო? უთხრა დედას ბოლოს ჩაღხი.— ტანა კი მოვედებო? მამიანება ფეხა და ისეუ ჩაღხი ვიქნები უფრო უკეთესი. ვანები გაჯავრებს, სათიბი? ნუ გეჯავრება...

— სადა და რადის? — უთხრა დეამ მიხევეანრმა. — ქვეყანამ კიდეც მოიკლო ჩემსველი და ჩვენ ჯავრ ჩამკვლიც არ შავიტანია ფანაში... რა იყო, ბიჭო, რა დაგემართა? აბა მანვენ ფეხი, სადა გტყივა? — დაუწყო სინჯავა დეამ და თან ცრემლები ჩამოსდიოდა თვალთვან და ასველებდა ჩაღხის ეხაღას, რომელიც ფეხი ჰქონდა მანველი. — „ვაჭე და ქვა მე, — სთქვა კვლავად მიხევეანრმა, — რა ბეჩავს დღეს ვარ და ხარ შვილი განკნალი ვჭე, რა უჭეუო ხარ? რა ვქნა ამ წუღილადებულმა...“

— ნუ წუწუებ ერთი, თუ დღერთი ტყამს, ჩემო დედა, არა მაჭირს შე სატრეული.

ჩაღხის დეამ საკუთარი ექიმობაც მოიშველია და დაუწყო ჩაღხის წამლობა, ხოლო მხარში ამოსადება და ტანის დასანახე-

ბი წყარუნი უძმოს-ძმის ძიობილმა როსტიამ გაუკეთა. სწოლოდ ლოგინი ჩაღსომ იქვე, რომელ ფინანსებდაც იჭდა, იმ.სე გაიკეთა: გაფინა შედ ხმელი თავა, თავისე თუიონი განსხილი ნაბადი გაღაფრა; შედ სახერად თავისი მისახვევი ნაბადი ქქონდა. წაფხული იუა. თავით ედგა ზირ მოტეხილი წარქა წყალით. ჩაღსო გასტეპროდა ზარდაზირ უანებოთ დაფარულს ფერდოებს, ბრაზი მისილიდა, — სხე.ბის უანები იმკობდა: ბეგრი მუშა ადგა თავს, ხოლო მის უანში მისჩანდა მარტო მისი დედა მზეგანარი, რომელიც დილიდან საღამომდე ორად მოხრილი თავ-უღებულად მუშობდა, შვიდა უანს და ძნასაც თითონვე ქქონდა, მაგრამ ვერ ახსნებდა. ან რას გაახსნებდა მარტოკა სამოცა წლის ადამიანი?.. უძმოს-ძმა ამითი-ხრებდა, მხოლოდ არაფერს იტყოდა.

ჩაღსოს არ-გებდენ, სხვის ქომავტობას და ჩხუბზე ხელის ადგას ურჩევდენ, მაგრამ იგი მაინც არ ტუდებოდა.

„რა ვქნა, გული არ იშლის ოხერი და! ამბობდა იგი — ბეგრჯელ მინდა თავი მოგარიდო, მაგრამ, დაზერულს რომ ვნახავ, ჩემი გული იწვევრენის, მკობილება, მიმართვის, აღარ მახსოვს მასთან აღარც თავი, აღარც სახლი, აღარც დედა, არც ცხოვრება. აი ეგა ვარ, ამიღეთ და გადაშადეთ კლდეზე, ან ერთი ღოღი აიღეთ, დაშვრით თავში მორჩა და გათავდა. დმერთს ვერც გაუჩინებარ: აჭათ, დამშ.ლეთ და შეორეთ ამაკეთ“.

დედამ ბეგრს არიებდა, ამინებდა ამით, — თავს მოვიკლავ ან გაგუებო, წავალ მაშინ სახლში. მთელს ქვეყანაში თავს მოგჭრი, კარში გამოსავალს დავილევო.

უძმოს-ძმა ხან და ხან დაიფიქრებოდა და იტყოდა თავისთვის „ქქ, ამას ზატრონის... უნდა ჩხუბზე ხელი ავიღო, აღ რც ვისა ვცა, აღარც ვას ვეცემა, ვეკლები ჩემთვის წკვიანდა, მაგრამ რა, ტუუალია, სულ ტუუალია, — გული არ გამ.ძლებს, ისევ ვიჩხუბებ, ტუუალია, ტუუალია ვამბობ. ბეგრჯელა ვოქვა, აღარ ვჩხუბოვო, მაგრამ არ იქნა. მითრახები რა დტუვრესა, ჩხუბდა რაო გახდება, გული ამიღებს, ტნში ვრუჩრტელი დამადის, კნკალს მომიკიდებს, არ ვაგი, ზოგს რის გული უქე? ან რის სისხლი უდგა, რა შეჩხუბრებისკე არც-კი მიხედავს, ჩ ქქილავს დინჯად არაყანს უნწს და ცნ.სავით ენით ტუქებს ილავს. აბა, რა კაცია ესეთი კაცი? არაფერი, კაცუნა! მამ შენ კაცუნა უნდა ვიყო? ტუუალია, სულ ტუუალია!“

გარედან ჩაძახილი ხმა ვერა სძალავდა ჩაღსოს გულდან ამოძახილს ხმას; ვერა სთრგუნავდა მის შეუზოგარს, გაუტეხელს გულის თქმს.

ჩაღსო ფეხისაგან ორი თვე იწვა. იქვე გვირდით ქორეში შატანებულს ზაღასე იყო ჩამოკიდებული იმას დაშობილი მთარახი, დაეჭურდებოდა თავის მთარახს, რომელიც ძმასავით უფარდა და იტუდა: „ნუ გეშინან, ჩემო მთარახო, კიდევ ს.დ დაგატროვლებ ძიობის მადღმა. კიდევაც მუა ზაფხული, დრომანი აქსმინათ.“

ჩაღსოს უძმოს-ძმობამ ბეგრი წელული, ცემ-ტუეზა შესძლენა და ერთად ერთი სიკეთე — ცოლი ამოჩინა, გოგო ისეთი, როგორც მარწევი. ჩხუბში ნახა ქალთამბეკი ჩაღსო ზარველად, თუმც იმას სახელი წინდაც გატანილი ქქონდა. უძმოს-ძმა, მოხსუარი ჩაღსო მოეწონა, შეუყვარდა და გაქუკა ცოლად.

კარგს უმს. მაჭუკარდი, ქალოო,  
ნუ სხსა ცხვარ-ბეგრისასა.  
კარგი უოფნა და ქონება  
მეხს მაჭუკ კარგის უმისასა.

ვაჟა-ფშაველა

(დასასრული იქნება)

შემოწიზება

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ ფული შემოსწირეს კიდევ შემდეგმა პირებმა: ნიკ. ბესარ. ლოლობერიძემ 25 მან., დ. ლოლობერიძემ 25 მან. ლავრენტი სამონიამ 5 მან., ბ. თალაკვაძემ 15 მან., ზინაიდა დუმბაძემ 10 მან., მღვდელ-მონაზონმა ტარასიმ 10 მან., ირინე ქობულაძემ 20 მან., ეკატერინოდარში შეგროვილია 139 მან. 50 კ., ხონში შეგროვილია 8 მან. მეფარიშვილისაგან და გურგენიძისაგან შეგროვილია 141 მან., 73 კაპ., სულ 399 მან. 23 კაპ. განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს დაზარალებულთა დასახმარებელ ფონდისთვის ნიკ. ბესარ. ლოლობერიძემ 200 მან.

რედაქტორი ფ. გოგინაიშვილი  
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

# ივერია

## 1906 წელს

5 მარტიდან გამოდის ყოველკვირეულ გაზეთად, ზოლით ერთიდან ორ თაბახამდის.

ფასი გაზეთისა წლის დამლევიამდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნილთ 3 მან., 5 თვით — 2 მან.

„ივერიის“ შარშანდელ ხელის მომწეროთ, რომელთაც ხელმოსაწერი ფული სრულად ჰქონდათ შემოტანილი, დაურიგდებათ დაკლებული პრემიები № 8—11, რომლებიც უკვე დაბეჭდილია, ხოლო დანარჩენ მე-12 ნომრის მაგერ გაგზავნებათ ყოველკვირეული „ივერია“ ერთი თვის განმავლობაში.

ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო აღრესი: Тифлис, Редакция газ. „ИВЕРΙΑ“.

საქმაწვილო ქურნალი

# ნაკადული

სურათებით

წელიწადი მეორე.

ხელას მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ.გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურისა ბინაზე, ალექსანდრეს ქუჩა, № 5. რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

ამოველდღიური გაზეთი

# „ცნობის“

## ფურცელი

სურათთაგანის დამატებით

პირველ აპრილიდან წლის დამლევისამდის

ღირს 4 მან. და 50 კაპ.